გარიგება დაზავების გარეშე A2

ტაში ამ სექსუალურ ფეხბურთს, ტაში! A6

ეროვნული მუზეუმის ორი სახე A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 22 ნოემბერი, 2005 წელი. №260 (1160)

ფასი 50 თეთრი

გილოცავთ გიორგობას!

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 25 ნოემბერს.

ამბები

რას მოასწავებს ცხინვალში ჩატარებული სპეცოპერაცია

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა აღიარა, რომ ედუარდ კოკოითის პოლიტიკური ოპონენტების გათავისუფლება ქართულმა სპეცსამსახურებმა განახორციელეს. სპეცოპერაციამ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ქართულ პოლიტიკურ სპექტრში გაამყარა მოსაზრება, რომ ოფიციალური თბილისი გეგმიურად ცდილობს ედურად კოკოითის ხელისუფლების დასუსტებას და იზოლირებას.

A2

ამბები

წარმატების 10 წელი

ჩვენამდე მოღწეული ისტორიული ცნობების თანახმად, პოლკოვნიკი პოპოვი ის პირველი ადამიანი იყო, რომელმაც ბორჯომის წყაროს წყალს სამკურნალო თვისებების გამო რეკომენდაცია გაუწია.

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	22/11	23 /11
თბილისი	15	9
ტყიბული	14	7
სოხუმი	7	9
დმანისი	7	-3
გორი	10	2
ონი	7	-4
ზუგდიდი	13	11
ახმეტა	14	8
გაგრა	7	8
სამტრედია	14	11

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7949
ევრო	2.1200
ბირვანძა სტერლ.	3.0883
რუბლი	0.0624

ამბები	A 2
გამოძიება	A 3
ტენდერი	A 4
ბიზნესი	A 5
სპორტი	A 6
ტენდერი	A 7
სხვადასხვა	A 8

გადაგდებული მეტალურგია

მაია მოსიაშვილი



ამ მინაწერის გამო ცნობილმა ტრანსნაციონალურმა კომპანიამ ИСД-მ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის აუქციონში მონაწილეობაზე უარი თქვა.

უკონკურენტოდ დარჩენილმა, ნაკლებად ცნობილმა ქართულმა კომპანიამ კი აუქციონში უპრობლემოდ გაიმარჯვა.

როგორ ჩამოვიცილოთ რეალური კონკურენტი? რას წარმოადგენს "ენერგია და ინდუსტრია"? რატომ შეფასდა 22 მილიონად მეტალურგიული კომბინატი? ვისთვის არის საინტერესო მისი ქონება? - ჩვენს ჟურნალისტურ გამოძიებაში მოყვანილი ყველა ფაქტი დოკუმენტურადაა დასაბუთებული.

ინვესტორ-პრეისტორია

მეტალურგიულ კომბინატში ინვესტორები 1998 წლიდან გამოჩნდნენ: "მეტალურგ ინვესტი", "მეტალურგ ოილ ინვესტი", "არეს ინტერნეშნალი", "მეტალჯეო" და ბოლოს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი". მათ აერთიანებთ შემდეგი: ყველას საინვესტიციო პროგრამა იდენტურია, ყველა კომპანია ერთი კაცის მიერ არის დაფუძნებული ან მათი მნიშვნელოვანი წილი ოფშორულ ფირმებს ეკუთვნის. 1998 წლიდან ქარხანას პირველი ვალი უჩნდება - 7 მლნ აშშ დოლარი, რომელიც 2005 წლის 11 ოქტომბრისთვის 126 მლნ გახდა. ამ შუალედში გასხვისდა და გაიყიდა ქარხნის აქტივების დიდი ნაწილი - ასეთია "ინვესტიციების" შედეგი მეტალურგიული კომბინატისთვის.

გაგრძელება A3 გვერდზე

გაჩერებული მეტალურგიული კომბინატი.

ქაქუცას ნეშტი მთაწმინდაზე დაკრძალეს

მთავარანგელოზობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი საზეიმო ლიტურგიისა და სულის მოსახსენებელი პანაშვიდის დამთავრების შემდეგ, რომელიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აღავლინა, დაახლოებით დღის პირველი საათისთვის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი მთაწმინდაზე, მამადავითის ტაძარში დაასვენეს, სადაც მისი სულის საცხოვნებლად კიდევ ერთხელ გაიმართა პანაშვიდი. იქამდე კი, სამების საკათედრო ტაძარში

გაგრძელება A2 გვერდზე

სამოქალაქო პანაშვიდი სამების საკათედრო ტაძარში.

პოლიტიკური მიწისძვრა ისრაელში

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა გუშინ მმართველი "ლიკუდის" პარტია დატოვა. ისრაელის პრემიერ-მინისტრს თქმით, მისი "ლიკუდიდან" წასვლის მთავარი მიზეზი პარტიის შიგნით შექმნილი ძლიერი ოპოზიციაა, რომელიც პრემიერს საკვანძო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას არ აძლევდა. "ლიკუდი" 1973 წელს შეიქმნა. შარონი ამ პოლიტიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელია. "ლიკუდში" სერიოზული უთანხმოება გამოიწვია ღაზას სექტორიდან ებრაელი მოსახლეობისა და ჯარების გამოყვანამ, რაც პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა დაგეგმა და განახორციელა.

გაგრძელება A2 გვერდზე

77 წლის შარონი ახალ პოლიტიკურ ნაბიჯებს დგამს.

სასამართლო ხელისუფლებამ ხმა ამოიღო

გუშინ სასამართლო ხელისუფლებაში არსებული სიტუაციის შესახებ რამდენიმე მოსამართლემ ღიად ისაუბრა, დღეს მათი პასუხისმგებლობის საკითხს განიხილავენ.

ინგა ალავიძე

გაუხმაურებული ფაქტია: შსს-ს მაღალჩინოსანი მოსამართლეს კაბინეტში შეუვარდა და იარაღით დაემუქრა მას შემდეგ, რაც მან ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე სამართლიანი და არა ხელისუფლებისთვის სასურველი გადაწყვეტილება გამოიტანა; ერთ-ერთი რეგიონის მოსამართლემ გადაწყვეტილება სპეცრაზმის ალყაში მოქცეულმა გამოიტანა; ერთი მოსამართლე, მას შემდეგ, რაც მან ყოფილ "კანონიერ ქურდს", მაგრამ ამჟამად მძიმედ ავადმყოფს, ინვალიდის სავარძელს მიჯაჭვულ განსასჯელს აღმკვეთი ღონისძიება პატიმრობა მსუბუქი სანქციით შეუცვალა, თბილისში დაიბარეს და გადადგომის შესახებ განცხადება იძულებით დააწერინეს; საჯაროდ არც ის გახმაურებულა - მოსამართლეს, რომელმაც ზეწოლას ვერ გაუძლო, პროცესზე გული რომ გაუსკდა; არც ის - მოსამართლეებს, რომლებმაც პოლიტიკური შეკვეთების შესრულებაზე უარი განაცხადეს, ან თანამდებობები დაატოვებინეს, ან სახელისუფლებო ზეწოლას პროტესტი მანტიის "გახდით" გამოუცხადეს - თანამდებობები თავად დატოვეს...

თუმცა, დღემდე არ ყოფილა შემთხვევა, პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ მოყოლილ მოსამართლეს საჯარო განცხადება გაეკეთებინოს. პირველი პრეცედენტი გუშინ შედგა - უზენაესი სასამართლოს სამმა მოსამართლემ - დავით სულაქველიძემ, ნინო გვენეტაძემ და მერაბ ტურავამ ხელისუფლების წარმომადგენლები პოლიტიკურ ზეწოლაში დაადანაშაულეს.

მოსამართლეები, რომელთა "ზურგზეც" წლების წინ დაწყებულმა სასამართლო რეფორმამ გადაიარა და რომელთა მიერ გამოტანილი პრეცედენტული გადაწყვეტილებებით, სასამართლო რეფორმის წარმატებით მიმდინარეობას

გაგრძელება A2 გვერდზე

ზეიმი ფორმულით - ყველას მინუს ერთი

ხელისუფლება "ვარდების რევოლუციის" ორი წლისთავის აღსანიშნავად გულმოდგინედ ემზადება. რუსთაველის გამზირზე სწრაფი ტემპით კეთდება სცენა და ტრიბუნა. აპრობაციას გადის "ფერადი" მუსიკალური შადრევანი. ზეიმის წინა დღეებში დაძაბულ რეჟიმში მუშაობს პარლამენტის ხელმძღვანელობაც: გუშინ, დღის პირველ ნახევარში, ისინი ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაკრძალვის ცერემონიაში მონაწილეობდნენ, საღამოს გვირგვინებით შეამკეს ტაბახმელასა და კოჯორთან დაღუპული იუნკრების მემორიალი, დღის ბოლოს კი საკანონმდებლო ორგანოს ბიუროს სხდომაზე შეიკრიბნენ.

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, "ვარდების რევოლუციის" ორი წლისთავი შედარებით ვიწრო წრეში აღინიშნება: დღეს, 16 საათისთვის დაგეგმილ საზეიმო მიღებაზე მიწვეულნი არიან "მხოლოდ" დეპუტატები, მთავრობის წევრები, მასმედიისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

"შევარდნაძეც ხომ არ დაგვეპატიჟა? განა, სხვა ვინმეს მასზე უფრო მეტი წვლილი მიუძღვის "ვარდების რევოლუციაში"? - ყველასგან მივიწყებული ექსპრეზიდენტი გაიხსენეს ბიუროს წევრებმა. ნინო ბურჯანაძემ "ნოსტალგიამორეულ" კანონმდებლებს იმედი გაუცრუა. შევარდნაძეს "რევოლუციური ღვაწლი" არ დაუფასდება - საზეიმო ღონისძიებებზე მის მიპატიჟებას ხელისუფლება არ აპირებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ორი ალტერნატიული კანონპროექტი ერთის წინააღმდეგ

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის ალტერნატიული ვარიანტების ბედი 25 ნოემბრისთვის დაგეგმილ პლენარულ სხდომაზე გადაწყდება. ოპოზიცია ამ სხდომაზე დიდ იმედებს არ ამყარებს.

ნანა ქადაგიშვილი

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის ალტერნატიული ვარიანტი (რომელიც პარლამენტს საინიციატივო ჯგუფმა წარუდგინა) რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტმა გასულ კვირას განიხილა და მის პლენარულ სხდომაზე გატანაზე უარი თქვა. **"საინიციატივო ჯგუფის მიერ შემუშავებული კანონპროექტი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. ამიტომ კომიტეტი, საკუთარი ინიციატივით, მას პლენარულ სხდომაზე ვერ გაიტანს,"** - განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვანო ხუხუნაიშვილმა. თუმცა, კომიტეტის თავმჯდომარემ ედვარდ სურმანიძემ ალტერნატიულ კანონპროექტს გადარჩენის შანსი მისცა. **"თუ რომელიმე პოლიტიკური ძალა კანონპროექტის ინიცირებას საკუთარ თავზე აიღებს, კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს ბიუროს, რომ კანონპროექტი განიხილოს,"** - განაცხადა მან. ასეთი პოლიტიკური ძალა კი "დემოკრატიული ფრონტი" და "მემარჯვენეები" აღმოჩნდნენ. ოპოზიციამ საინიციატივო ჯგუფის მიერ მომზადებული კანონპროექტის გადარჩენა საკუთარ თავზე აიღო. სხვათა შორის, ალტერნატიულ კანონპროექტს დამცველი უმრავლესობაშიც გამოუჩნდა. რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე შალამბერიძისთვის კანონპროექტის სახელისუფლებო ვარიანტზე მეტად საინიციატივო ჯგუფის მიერ შემუშავებული ვარიანტი, ანუ ორდონიანი თვითმმართველობა აღმოჩნდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

24 საათი ნარკომანიის წინააღმდეგ

ნარკომანიის წინააღმდეგ

ორი ალტერნატიული კანონპროექტი ერთის წინააღმდეგ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ოპოზიციამ ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შეასრულა და საინიციატივო ჯგუფის მიერ შემუშავებული კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე გასატანად რეგლამენტით დადგენილი პროცედურების შესრულება გასულ კვირასვე მოასწრო. უფრო მეტიც, "მემარჯვენეებმა" საორგანიზაციო დეპარტამენტში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის მეორე ალტერნატიული ვარიანტიც წარადგინეს. **"ეს ჩვენეული ვარიანტია. იგი საინიციატივო ჯგუფის მიერ მომზადებული ვარიანტისგან მხოლოდ ერთი საკითხით განსხვავდება - ჩვენი ვარიანტის მიხედვით, თვითმმართველობის მეორე დონე დღეს არსებული რაიონების დონეზე უნდა მოეწყოს, საინიციატივო ჯგუფის ვარიანტი კი მეორე დონეზე სამხარეო ხელისუფლების ჩამოყალიბებას გულისხმობს,"** - განგვიცხადა "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძემ.

ასე რომ, ოპოზიცია უმრავლესობას ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორ ალტერნატიულ კანონპროექტს სთავაზობს - ერთს, საინიციატივო ჯგუფის მიერ მომზადებულს, "დემოკრატიული ფრონტი" ლობირებს, "მემარჯვენეები" კი საკუთარ ვარიანტს უწევენ ლობირებას. უმრავლესობას ამ ორი ალტერნატიული კანონპროექტის ბედი ბიუროს გუშინდელ სხდომაზე უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ თავი შეიკავა და კანონპროექტის ალტერნატიული ვარიანტებისთვის "განაჩენის" გამოტანა 25 ნოემბერს დაგეგმილი პლენარული სხდომისთვის გადადო. ასე რომ, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის ალტერნატიული ვარიანტი დღის სინათლეს იხილავს თუ არა, პლენარულ სხდომაზე კენჭისყრის დროს გადაწყდება. ოპოზიციას გამარჯვების დიდი იმედი არ აქვს. თუმცა, როგორც კულუარებში საუბრობენ, გამორიცხული არ არის, უმრავლესობა გარკვეულ დათმობაზე წავიდეს და, საბოლოოდ, კანონპროექტის ორი ვარიანტი შეჯერდეს. ანუ, ალტერნატიული კანონპროექტის მიხედვით, პირველი დონის თვითმმართველობა თემისა და ქალაქის დონეზე ჩამოყალიბდეს, მეორე დონედ კი, სამხარეო ხელისუფლების ნაცვლად, კანონპროექტის სახელისუფლებო ვარიანტით გათვალისწინებული რაიონი დარჩეს.

ზეიმი ფორმულით - ყველას მინუს ერთი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ᲘᲣᲠᲘ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲞᲐᲜᲘᲫᲔᲡ ᲤᲝᲢᲝ

ბიურო ზეიმისთვის და პრობლემატური განხილვებისთვის ერთდროულად ემზადება.

პარლამენტართა რევოლუციური განწყობა სულაც არ გულისხმობს იმას, რომ მიმდინარე კვირის პლენარული სხდომები სულ ზარზეიმით ჩაივლის. 22-25 ნოემბრის სხდომების დღის წესრიგისთვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ დეპუტატებს ამ კვირაში ბევრ საჩოთირო თემაზე მოუწევთ მსჯელობა: საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებულ "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" კანონპროექტს ოპოზიცია ორ ალტერნატიულ დოკუმენტს შეაგებებს; ხმაურის გარეშე არ ჩაივლის სისხლის სამართლის კოდექსში მეორე მოსმენით იმ ცვლილებების შეტანა, რომელიც შინაპატიმრობის გაუქმებას, სასამართლო პროცესებზე მასმედიის დასწრებას და სხვა საკამათო საკითხებს შეეხება; ვნებათაღელვაა მოსალოდნელი იმ საკანონმდებლო ცვლილებების განხილვისასაც, რომლითაც პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის დაფინანსება უნდა დარეგულირდეს...

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა "ეროვნული თანხმობის დეკლარაციის" მომავალიც. ცხადია, საპარლამენტო უმრავლესობას მისი მიღება არ გაუჭირდება, მაგრამ სახელისუფლებო გუნდის სურვილია, რომ დოკუმენტი ერთსულოვნად იქნეს მოწონებული. არადა, ოპოზიციური ფრაქციები მის მიღებას, მართალია, კატეგორიულად არ ეწინააღმდეგებიან, მაგრამ მხარდაჭერისგანაც თავს იკავებენ. ბევრი რამ გაირკვევა ხუთშაბათისთვის დაგეგმილ კონსულტაციებზე. მანამდე კი სახელისუფლებო ფრაქციის წარმომადგენლები იმაზე აპელირებენ, რომ ანალოგიური დოკუმენტი ბალტიის ქვეყნებმა, თავის დროზე, ერთხმად მიიღეს.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲮᲛᲐ ᲐᲛᲝᲘᲦᲝ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ადასტურებდნენ, ახლა დისციპლინარული დევნის ობიექტად იქცნენ. **"ძაღლს რომ ჯოხს უჩვენებენ შესაშინებლად, იმ პრინციპით აღძრეს ჩვენს წინააღმდეგ დისციპლინარული დევნა,"** - ამბობს მერაბ ტურავა. მას შემდეგ, რაც მოსამართლეებმა ღიად გააკეთეს განცხადება მათზე განხორციელებული პოლიტიკური ზეწოლის შესახებ, იუსტიციის საბჭომ სასწრაფოდ დისციპლინარული დევნა დაიწყო და დღეს სწორედ ამ მოსამართლეების პასუხისმგებლობის საკითხს განიხილავს.

კარგა ხანია საუბრობენ იმაზე, რომ ამერიკის იურისტთა ასოციაციისა და უზენაესი სასამართლოს მიერ ჩატარებულ კონფერენციაზე ნინო გვენეტაძემ, კონკრეტული ფაქტების მოშველიებით, მკაცრად გააკრიტიკა სასამართლო ხელისუფლებაში არსებული სიტუაცია. სხვათა შორის, ცნობილია ისიც, რომ ხსენებული სამეული უზენაესი სასამართლოს ის მოსამართლეები არიან, რომლებიც ყოველთვის გამოირჩეოდნენ პროკურატურის მიერ შექმნილი უსაფუძვლო საქმეების დაშლით და მათი წინასწარ ძიებაში დაბრუნებით.

სამი მოსამართლე, რომელთა შესახებაც ცნობილია, რომ უკომპრომისო გადაწყვეტილებები გამოჰქონდათ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კოტე კუბლაშვილსა და იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარეს ვალერი ცერცვაძეს უკანონო ქმედებაში ადანაშაულებს.

მერაბ ტურავას თქმით, ხელისუფლების გაღიზიანება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მოსამართლეებმა მონაწილეობა მიიღეს ქართველი და ამერიკელი იურისტების მიერ ორგანიზებულ ფორუმში, სადაც სიტყვით გამომსვლელებმა მძაფრად გააკრიტიკეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებები. **"სწორედ ამის შემდეგ დამიკავშირდნენ იუსტიციის საბჭოდან და მითხრეს, რომ ჩემს წინააღმდეგ აღიძრა დისციპლინარული დევნა. მიზეზი არ დაუსახელებიათ, თუმცა შემდეგ ვერ მოითმინეს და შაბათს, ღამის პირველის ნახევარზე დამირეკეს, რათა ეცნობებინათ, რომ ჩემი საკითხი განიხილება სამშაბათს, 18 საათზე. ასეთი ქმედებები ყოველგვარ საზღვრს სცილდება და უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს,"** - ამბობს მერაბ ტურავა.

მოსამართლე ნინო გვენეტაძემ კი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი სასამართლო სისტემის მონოპოლიზებაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ კუბლაშვილს არ აინტერესებს მოსამართლეთა აზრი. **"დიდი ხანია ვითხოვთ მოსამართლეთა ფორუმის ჩატარებას, მაგრამ ამ მოთხოვნას კუბლაშვილი ყურადღებას არ აქცევს,"** - აცხადებს ნინო გვენეტაძე.

მოსამართლეთა განცხადებით, დღევანდელი ტენდენციის გათვალისწინებით, ზენოლა ხორციელდება იმ მოსამართლეებზე, რომლებიც არაპროგნოზირებადი და უმართავები არიან. **"კონსტიტუციის დარღვევის გარდა, შელახულია მოსამართლეთა უფლებები. ყველამ უნდა იცოდეს, რომ მოსამართლეები ემსახურებიან არა კონკრეტულ ხელისუფალს, არამედ კანონსა და ხალხს,"** - განაცხადა უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ თამაზ ილიაშვილმა, რომლის წინააღმდეგ დისციპლინარული დევნის შესახებ მსჯელობა იუსტიციის საბჭოში 22 ნოემბერსაა დაგეგმილი. მისივე თქმით, მოსამართლეთა დევნა ორი თვეა მიმდინარეობს.

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის წევრების მერაბ ტურავას, ნინო გვენეტაძის, დავით სულაქველიძისა და ამავე სასამართლოს ყოფილი მოსამართლის თამაზ ილიაშვილის ინტერესებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე ანა დოლიძე, "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" თავმჯდომარე ლია მუხაშავარია და ადვოკატი ეკა ბესელია დაიცავენ.

"უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის მხრიდან მოსამართლეებზე ორი ფორმით ხდება ზეგავლენა: პირდაპირი ზარებით, რათა მათ პენსიაზე გასვლის მოტივით იძულებით დატოვონ თანამდებობა და მეორე - იუსტიციის საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის მხრიდან დისციპლინარული დევნის აღძვრით," - აცხადებს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე ანა დოლიძე,

"დღეს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება მართლმსაჯულებას საზოგადოებრივი მხარდაჭერა, რათა იგი ხელისუფლების მარწუხებისგან განთავისუფლდეს," - აცხადებენ ნინო გვენეტაძე, დავით სულაქველიძე, მერაბ ტურავა და თამაზ ილიაშვილი.

აქვე შეგახსენებთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ნინო გვენეტაძე და მერაბ ტურავა უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის ლადი ჭანტურიას კადრებად აღიქმებიან, დევნის ერთ-ერთი ობიექტი, საოლქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე დავით სულაქველიძე, ნლების წინანდელი სასამართლო რეფორმის ფუძემდებლის მიხეილ სააკაშვილის "აღმოჩენაა". დავით სულაქველიძისა და ამჟამინდელი გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის პროფესიონალიზმით რეფორმატორი მიხეილ სააკაშვილი ძალზე ხშირად ამაყობდა. სხვათა შორის, უკვე პრეზიდენტმა საკაშვილმა უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის კოტე კემულარიას წარდგენისას, დავით სულაქველიძის პატიოსნება და პროფესიონალიზმი კიდევ ერთხელ გაიხსენა. **"ეს არის მოსამართლის სახე. ნესიერი, პატიოსანი, პროფესიონალი მოსამართლე, რომელიც დღემდე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. ასეთი უნდა იყოს ყველა მოსამართლე და მიბაძეთ მას,"** - განაცხადა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

შვიდი წლის წინ დაწყებულმა სასამართლო რეფორმამ, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი მართლმსაჯულება პოლიტიკური შეკვეთების ნაკლებობას არ განიცდიდა, საზოგადოებაში მართლმსაჯულებისადმი დაკარგული რწმენა და იმედი მაინც აღადგინა, მაგრამ დროთა განმავლობაში დემოკრატიული რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მონაპოვარი თანდათან კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა - ახლა, საზოგადოებას ქართული თემიდის სამართლიანობისა ნაკლებად სჯერა. რატომ, მაინც, რა ხდება სასამართლო ხელისუფლებაში? არის თუ არა ის რეალურად დამოუკიდებელი, პროფესიონალი მოსამართლეებით დაკომპლექტებული სახელმწიფოს ძლიერი ბაზისი?

ყველა შემთხვევაში ფაქტი ერთია: სასამართლო სისტემაში არსებული უსამართლო სიტუაცია არა მარტო სასამართლო რეფორმის კრახს გამოიწვევს, რისი ნიშნებიც უკვე სახეზეა, არამედ მთლიანად ქვეყნის სახელმწიფოებრიობასაც შეუქმნის საფრთხეს, რადგან დამოუკიდებელი, კანონს დამორჩილებული და პროფესიონალი მოსამართლეებით დაკომპლექტებული სასამართლო ხელისუფლება ის საფუძველია, რომელზეც ძლიერი და დემოკრატიული ქვეყანა უნდა აშენდეს.

ᲥᲐᲥᲣᲪᲐᲡ ᲜᲔᲨᲢᲘ ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲐᲖᲔ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲔᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სამოქალაქო პანაშვიდი მიმდინარეობდა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი და უამრავი ადამიანი ესწრებოდა.

სასახლეს, რომელშიც ეროვნული გმირის ნეშტი ესვენა, 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვან დროშასთან ერთად, ახალი, ხუთჯვრიანი დროშაც გადააფარეს და ნეშტი მთაწმინდაზე სამების ეკლესიიდან ფეხით გადაასვენეს. ამ გზაზე ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჩოხოსნებმა გააცილეს. ამით აღსრულდება ქაქუცა ჩოლოყაშვილის ანდერძი, რომელიც მან 75 წლის წინ დაიბარა.

სამების საკათედრო ტაძარში ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სამოქალაქო პანაშვიდის დასრულების შემდეგ შეკრებილ საზოგადოების წინაშე სიტყვით პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გამოვიდნენ.

სააკაშვილის თქმით, მან და მისმა მეგობრებმა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტის გადმოსვენების მიზნით მუშაობა ჯერ კიდევ 1997 წლიდან დაიწყეს, მაგრამ მაშინ საფრანგეთის ქართულმა ემიგრაციამ ჩათვალა, რომ ამისთვის შესაფერი დრო არ იყო. "ქაქუცას სურდა გადმოსვენება თავისუფალ საქართველოში. მართალია, დღეს საქართველო დაჭრილია, მაგრამ თავისი სულით, სულისკვეთებით - თავისუფალია. ქაქუცას დროს იყო ორი მიმართულება: პირველს სერგო ორჯონიკიძე და ფილიპე მახარაძე მეთაურობდნენ. მათ წინააღმდეგ კი ჭეშმარიტი პატრიოტები იბრძოდნენ. ორჯონიკიძეები დღესაც არიან, მაგრამ ვეღარ გაიმარჯვებენ, რადგან ქაქუცას დროს საქართველო ერთიანი კი არა, დაშლილი იყო. დღეს კი საქართველო ერთიანია, პირველ რიგში, თავისი სულით. გმირები ყოველთვის გვყავდა, ახლაც გვყავს და წინ დიდი ბრძოლა ისევ გველის. დიდი იმედი გვაქვს საქართველოს შეიარაღებული ძალების და ქედს ვიხრით მათ წინაშე," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საქართველოს ღირსებას ჩოლოყაშვილები საუკუნეების განმავლობაში იცავდნენ. ნინო ბურჯანაძის თქმით, ქაქუცა ჩოლოყაშვილი სულით ხორცამდე მებრძოლი გმირი იყო და ერს თავდახრის უფლებას არ აძლევდა. "თუკი მისი ღირსეული წინაპარი ბიძინა ჩოლოყაშვილი სპარსეთის იმპერიას აუჯანყდა და გაიმარჯვა, ქაქუცა რუსეთის იმპერიას აუჯანყდა და თითქოს დამარცხდა, მაგრამ ის არ დამარცხებულა და დღემდე თავისუფლების სული შეგვინარჩუნა. ქაქუცას დროშით დაიწყო ეროვნული მოძრაობა, და ამ დროშის ქვეშ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში არაერი ქართველი დაეცა. დარწმუნებული ვარ, რომ მსგავსი ვაჟკაცები არიან და ისევ დაიბადებიან ქართველებში, ხოლო ქაქუცას დროშა მალე ერთიანი საქართველოს თავზე აფრიალდება," - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

"თავისუფლებისთვის მებრძოლ ქაქუცა ჩოლოყაშვილს მშობლიურ მიწას მიაბარებენ, რითაც მისი ანდერძი აღსრულდება. ეს მნიშვნელოვანია დღევანდელი საქართველოსთვის. თავისუფლებისათვის მებრძოლი ყველა ქართველი იმსახურებს პატივისცემას, მით უმეტეს, ისეთი გმირი, როგორიც ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო," - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი დღის სამ საათზე მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, დავით ერისთავისა და ზაქარია ჭიჭინაძის საფლავებს შორის დაკრძალეს. რიტუალის დროს შესრულდა ჰიმნი და საგალობელები. დაკრძალვას უამრავი ხალხი ესწრებოდა.

თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირს უწოდებენ. ამ ინიციატივით თბილისის მერს საკრებულო მიმართავს. ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირის სახელი, სავარაუდოდ, ვაკის პარკის მიმდებარე მოედნიდან ვაკის სასაფლაომდე არსებულ ტერიტორიას დაერქმევა.

24 საათი

ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ ᲓᲐᲖᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

ᲜᲘᲙᲐ ᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

პრეზიდენტები ცდილობდნენ უკმაყოფილება არ შეტყობოდათ.

იაპონიაში რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტი რადიკალურ ცვლილებებს არ მოიტანს ორი ქვეყნის ურთიერთობებში. რუსეთი თანახმაა, ილაპარაკოს ყველაფერზე, გარდა მეორე მსოფლიო ომის შედეგად მიტაცებული ტერიტორიის დაბრუნებისა. ფაქტობრივად, რელიქტი 21-ე საუკუნეში, კურილის კუნძულების (ანუ ჩრდილოეთ ტერიტორიის, როგორც მას იაპონიაში უწოდებენ) საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება, ისევე, როგორც დღემდე არ არსებობს ორ ქვეყანას შორის საზავო ხელშეკრულება. ორივე მხარე გამოთქვამს მზადყოფნას, კვლავაც განაგრძონ მოლაპარაკებები დაზავების დოკუმენტის შესახებ. მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი, სავარაუდოდ, მომავალ წელს მოსკოვში შედგება. მანამდე კი ტოკიო რუსული ნავთობით სარგებლობის დაპირებას უნდა დასჯერდეს.

ვლადიმირ პუტინის ვიზიტი მეზობელ სახელმწიფოში თავიდანვე უსიამოვნებით დაიწყო. ტოკიოში ჩასულ რუსეთის პრეზიდენტს იაპონელები საპროტესტო აქციებითა და შეურაცხმყოფელი შეძახილებით დახვდნენ.

არცთუ დამაკმაყოფილებლად გაგრძელდა ვიზიტის ოფიციალური ნაწილიც. მართალია, უმაღლეს დონეზე შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტები ცდილობდნენ, უკმაყოფილება არ შეტყობოდათ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ნორმალური ურთიერთობისთვის აუცილებელი - შეთანხმება ზავის შესახებ - ჯერჯერობით მიღწეული არ არის, ძნელია რაიმე დადებით შედეგებზე საუბარი.

პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე საუბრობდნენ ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივებზე, ვაჭრობის და ინვესტირების ზრდაზე, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება - ძუნტიტურო კოიძუმისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ე.წ. ჩრდილოეთის ტერიტორიის, იგივე კურილის კუნძულების საკითხი კვლავ ღიად რჩება. როგორც ჩანს, რუსეთი თანახმა არ არის იაპონიის კომპრომისულ ვარიანტზეც, რომელიც კუნძულების ერთობლივ ეკონომიკურ ექსპლუატაციას გულისხმობდა.

გაკეთებული განცხადების თანახმად, რუსეთი და იაპონია მზად არიან, საზავო შეთანხმების დადების შესახებ დიალოგი მომავალშიც განაგრძონ, თუნდაც მოსკოვში, სადაც პუტინმა იაპონელი კოლეგა 2006 წელს დაპატიჟა.

ერთადერთი ხელშესახები შედეგი კი იაპონიისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი სანავთობო გარიგებაა. რუსეთი "აღმოსავლეთ ციმბირი - წყნარი ოკეანის" ნავთობსადენის მშენებლობას აპირებს, რომლითაც საწავავს იაპონიას და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სხვა ქვეყნებს მიაწვდის. ამის შესახებ გუშინ ტოკიოში ვიზიტისას რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა.

პეკინიც და ტოკიოც უაღრესად არიან დაინტერესებულნი რუსეთიდან ენერგომატარებლების იმპორტით - იაპონია პრაქტიკულად მთლიანად არის დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთიდან ნავთობის მინოდებაზე, ჩინეთი კი ექსპერტთა შეფასებით, უახლოესი 20 წლის განმავლობაში ნავთობსა და გაზს რეკორდული ტემპებით მოიხმარს.

იაპონიაში შიშობდნენ, რომ ციმბირში მშენებარე ახალი ნავთობსადენით უნინარეს ყოვლისა ჩინეთი მოიგებდა. თუმცა, ბოლო დრომდე მოსკოვი არჩევანის გაკეთებას არ ჩქარობდა.

გუშინ კი ტოკიოში პუტინმა მიანიშნა, რომ იაპონია რუსული ნავთობის გარეშე არ დარჩება. მისი თქმით, რუსეთი აღმოსავლეთ ციმბირის ნავთობსადენს წყნარი ოკეანის სანაპირომდე მიიყვანს, რათა იქიდან ენერგომატარებლები მიაწოდოს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებს, მათ შორის იაპონიას. სანაცვლოდ კი, რუსეთი იაპონიისგან ინვესტიციებს ითხოვს - რაც მთავარია, არა მარტო ნავთობმრეწველობაში (რითაც, საბოლოო ჯამში, იაპონიაც ისარგებლებს), არამედ მანქანათმშენებლობისა და მაღალი ტექნოლოგიების სექტორის განვითარებისთვისაც.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

არიელ შარონი გუშინვე ქვეყნის პრეზიდენტ მოშე კაცავს შეხვდა და ქნესეთის დათხოვნის პარალელურად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის თხოვნით მიმართა. ქვეყნის ლიდერსა და პრემიერ-მინისტრს შორის საუბარი დახურულ კარს მიღმა ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, კაცავმა ჟურნალისტებს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესაძლო ჩატარების შესახებ ამცნო. საბოლოო გადაწყვეტილებას ისრაელის პრეზიდენტი სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებთან შეხვედრის შემდეგ მიიღებს. **"ვთვლი, რომ ახლანდელ სიტუაციაში არჩევნები რაც შეიძლება მალე უნდა გაიმართოს,"** - განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა შარონთან შეხვედრის შემდეგ. კანონმდებლობის შესაბამისად, საპარლამენტო არჩევნები 90 დღის ვადაში უნდა ჩატარდეს.

საგულისხმოა, რომ გუშინვე არიელ შარონის ახალი პოლიტიკური პარტიის პოლიტიკური მიმართულება გაირკვა. ორგანიზაცია აქცენტს ნაციონალურ ვალდებულებებზე, კერძოდ პალესტინის ავტონომიასთან არსებული კონფლიქტის მოგვარებასა და "საგზაო რუკით" გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაზე გააკეთებს. ახალი პარტიის პირველივე ყრილობაზე შარონმა განაცხადა, რომ ისრაელ-პალესტინას შორის საზღვრების გამიჯვნის საკითხში ის თავისი პოლიტიკური ორგანიზაციის მხრიდან რაიმე ცალმხრივ ქმედებებს გამორიცხავს. შარონი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში თავის პოლიტიკურ ორგანიზაციას გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს.

რას მოასწავებს ცხინვალში ჩატარებული სპეცოპერაცია

ᲙᲝᲑᲐ ᲚᲘᲙᲚᲘᲙᲐᲫᲔ

კვირას ცხინვალის ციხიდან თვითაღიარებული რესპუბლიკის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ჯემალ ქარქუსოვი და მისი ძმა გაიქცნენ. ისინი ოფიციალური თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. მოგვიანებით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა აღიარა, რომ ედუარდ კოკოითის პოლიტიკური ოპონენტების გათავისუფლება ქართულმა სპეცსამსახურებმა განახორციელეს. სპეცოპერაციამ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ქართულ პოლიტიკურ სპექტრში გაამყარა მოსაზრება, რომ ოფიციალური თბილისი გეგმიურად ცდილობს ედუარდ კოკოითის ხელისუფლების დასუსტებას და იზოლირებას.

ქართული სპეცსამსახურები თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიას საკმაოდ გაუშინაურდნენ. დაახლეობით ორი თვის წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა ძალებმა არაკონტროლირებად ტერიტორიაზე თებერვლის გორის ტერაქტში ეჭვმიტანილი რამდენიმე პირი დააკავეს, რომლებიც ამჟამად თბილისის პირველ იზოლატორში იმყოფებიან. თუმცა, ორი დღის წინანდელი სპეცოპერაცია თავისი მასშტაბით და მნიშვნელობით გაცილებით დიდია და მოვლენებს თუ წინ გავუსწრებთ, იმის თქმაც შეიძლება, რომ მალე ეს ოპერაცია საქართველოს ხელისუფლების მიღწევათა სიაშიც დაიდებს ადგილს. მანამდე კი სხვადასხვა არაოფიციალური წყაროს ცნობით, ფრაგმენტულად შეიძლება აღვიდგენოთ ცხინვალის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე განხორციელებული სპეცოპერაციის სურათი.

თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ჯემალ ქარქუსოვი და მისი ძმა იანეკი ედუარდ კოკოითის ყველაზე სერიოზული პოლიტიკური ოპონენტები არიან, თუმცა საპატიმროში ისინი იარაღის უკანონო ტარების მუხლით იხდიდნენ სასჯელს. თუ როგორ დატოვეს ძმებმა ციხის კედლები, უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი თავიანთ მშობლიურ ჯავის რაიონში აღმოჩნდნენ, საიდანაც ისინი ქართულმა სპეცსამსახურმა საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, მინისტრ ვანო მერაბიშვილის თქმით, "სამშობლოში" დააბრუნა. ამ სპეცოპერაციის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან სხვა ინფორმაციის მიღება შეუძლებელია. ოპერაციის დეტალებს არ იცნობენ არც პარლამენტში მოქმედი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომიტეტში, თუმცა, კომიტეტის წევრი ზვიად ძიძიგური არ გამორიცხავს, რომ საქართველოს მთავრობას მოქმედებაში მოეყვანოს გეგმა, რომელიც ედუარდ კოკოითის "რეჟიმის სრულ იზოლაციას და დასუსტებას ისახავს მიზნად."

თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ჯემალ ქარქუსოვი და მისი ძმა იანეკი არიან საზოგადოებრივი მოძრაობის ლიდერები და ფლობენ გარკვეულ ინფორმაციას ედუარდ კოკოითის ბიზნესისა და კავშირების შესახებ. ძმები წარმოშობით ჯავის რაიონიდან არიან და დიდი გავლენა აქვთ ამ რაიონის მცხოვრებლებზე. ეს კი ოფიციალური თბილისისათვის ბევრს ნიშნავს. ჯავის რაიონი ხომ, 1992 წლის შემდეგ, ერთ-ერთ ყველაზე მიუწვდომელ და კარგად გამაგრებულ რაიონად ითვლება უკონტროლო ავტონომიის ტერიტორიაზე. შესაბამისად, თუკი ამ ყველაზე კარგად დაცულ ტერიტორიაზე ქართული სპეცსამსახურები უკვე დაუბრკოლებლად აღწევენ, ეს ედუარდ კოკოითის გავლენის სერიოზულ შესუსტებაზე მეტყველებს. შესაძლოა, ამიტომაც ოფიციალური ცხინვალი უარყოფს ქარქუსოვების გაქცევაში ქართული სპეცსასამსახურების მონაწილეობას და ყველაფერს ვანო მერაბიშვილის "პიარს" მიაწერს. ყველაფერი მხოლოდ მაშინ გაირკვევა, როცა დადგინდება გაქცეული ძმების ამჟამინდელი ადგილსამყოფელი.

ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘ TBC Bank ნარკომანიის წინააღმდეგ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ ირაკლი ლეჟავა . ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘ: გიორგი ხმალაძე.
ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. ᲡᲢᲘᲚᲘ: ნანა ჯოხარაიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

ქურიერი
ნარკომანიის წინააღმდეგ

გადაგდებული მეტალურგია

პირველი გვერდიდან

რატომ ღირს 22 მილიონი?

ეს კითხვა საქართველოს პარლამენტში აუქციონის შემდეგ გაჩნდა. მასზე მეტალურგიული კომბინატის გაკოტრების მმართველი მალხაზ ალბორიშვილი მოკლედ პასუხობს: ასე გადაწყვიტა აუდიტმა...

ალბორიშვილმა აუდიტორული დასკვნის გაცნობაზე "24 საათს" უარი განუცხადა, თუმცა ჩვენ მაინც შევძელით მისი მოპოვება.

შპს "აუდიტ-გურამი" - ასე ჰქვია რუსთავში მდებარე აუდიტორულ ფირმას, რომელსაც გაკოტრების მმართველმა მიმართა და ხელშეკრულება გაუფორმა.

ნაწყვეტი "დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნიდან":

"ჩვენ ვერ ვადასტურებთ შესაფასებელი ქონების საბალანსო ღირებულებას აუდიტის პერიოდისათვის...

...ჩვენ განვიხილეთ დაინტერესებული კომპანიების წინადადებები, რომლებიც გამოხატავენ ინტერესს კომბინატის ტენდერთან დაკავშირებით. ამ ეტაპისათვის ყველაზე მაღალი შემოთავაზება ითვალისწინებს 22,0 მილიონი აშშ დოლარის გადახდას და შემდგომში 500 მილიონიან საინვესტიციო პროგრამის განხორციელებას, რაც ჩვენ მიგვაჩნია მისაღებ წინადადებად" (?!)

"აუდიტ-გურამის" ხელმძღვანელი ც. ლობჟანიძე "24 საათთან" სატელეფონო საუბარში აცხადებს, რომ **"არ ახსოვს, რომელ დაინტერესებულ კომპანიაზეა საუბარი".** თუმცა კითხვაზე პასუხი აუდიტორულ დასკვნაში უკვე გაცემულია - 22 მილიონი იმიტომ, რომ დაინტერესებულ (ჰონგ-კონგურ) კომპანიას მეტალურგიის ყიდვა სწორედ ამ ფასად სურს. მართლაც, აუქციონში ამ ოფშორული კომპანიის ("Azian Global Opportunity Fund") ოფშორული შვილობილის ("Georgian Steel Holding Limited") ქართულმა შვილობილმა (**"ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი"**) გაიმარჯვა. რც ერთ მათგანზე ინტერენეტში ინფორმაცია არ მოიპოვება.

ЭНЕРГОКОМПЛЕКС
КОНЦЕРН

Министру по управлению государственным имуществом Грузии
господину М. Уклеба
Государственная Канцелярия Грузии
Министру промышленности Грузии
господину Б. Шошиашвили
Министру топлива и энергетики Грузии
господину Д. Мерцхулава
Губернатору Кремо Картли
господину Л. Мамаладзе
Мэру г. Рустави
господину Л. Мендели

Специалисты Концерна "ЭНЕРГОКОМПЛЕКС" в течение ноября-декабря 1999 года изучали возможность восстановления производства чугуна на базе Руставского металлургического комбината, результаты которой изложены в Приложении 1 "Основные положения Бизнес-плана "Восстановление производства чугуна на Руставском металлургическом комбинате".

В ходе переговоров руководителей Концерна и Комбината достигнуто Соглашение (Приложение 2) о совместной деятельности по реализации проекта.

Предложения Концерна учитывают существующие соглашения между Украиной и Грузией, а также документы, определяющие взаимоотношения Стран-участниц ГУУАМ.

Реализация проекта позволит создать не менее 1500 рабочих мест в Грузии, и обеспечит увеличение налоговых поступлений.

Общий планируемый объем инвестиций в производство Грузии составляет около 40 000 000 ЛАРИ.

Специалисты Концерна имеют опыт строительства и эксплуатации энергетических и металлургических предприятий Украины, России, Польши, Индии, Алжира и других стран.

Суммарный годовой оборот предприятий Концерна в размере 27 млн USD и наличие на складе оборудования, необходимого для реализации проекта на сумму 4,1 млн USD, служит основой успешной реализации Проекта.

Исходя из вышеизложенного, Концерн "ЭНЕРГОКОМПЛЕКС" просит рассмотреть предложение по передаче в управление контрольного пакета акций (51%) АО"ТУДЖИ-XXI" в соответствии с законодательством Грузии.
При объявлении конкурса готовы принять участие.

Председатель Совета директоров
Концерна "ЭНЕРГОКОМПЛЕКС" КУНЕНКО А.С.



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განხილულ იქნეს, აწლის 18 მაისს N07-346/1-0 წერილი, რის თაობაზე გიგზავნიდ შემდეგს:

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსს" შორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თუჯი XXI"-ს საფინანსო-სამრეწველო წარმოების აღდგენის და გაშენების შესახებ საინვესტიციო შეთანხმებასან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტრის მიერ მიმდინარე წლის 23 თებერვლის N01/42-391 წერილით წარმოდგენილ იქნა სამართლებრივი დასკვნა აღნიშნული ხელშეკრულების საქართველოს კანონმდებლობასან შესაბამობის თაობაზე, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ დასკვნაში გამოთქმული მოსაზრებანი ითვალისწინა სამოელი ხასიათის ტატუსი და ინდივიდ. ალარ საქართველოს სამინისტროს მხრიდან დამატებითი დაფიქრებანი.

რაც შეეხება "ზეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თუჯი XXI"-ს საწესდო კაპიტალის ზეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსისადმი" 10 წლის ვადით მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 18 მაისის N468 განკარგულების შესრულების, განკარგულების მე-5 პუნქტით მისი შესრულების კონტროლი დაეკისრა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის

როგორ ჩამოვიცილოთ რეალური კონკურენტი

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვის კონკურსზე მეტალურგიული კომბინატის ქონების ყიდვის სურვილი ხუთმა კომპანიამ დააფიქსირა: უკრაინულმა "დონბასის ინდუსტრიულმა კავშირმა" (ИСД), იტალიურმა "მეტალ-ჯეიმ", ინდურ-ინგლისურმა "ეს-ელ გრუპმა", ჰონგ-კონგურმა "აზიის განვითარების ფონდმა" და დუბაიში რეგისტრირებულმა "გლობალ სტილ ჰოლდინგმა".

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღების ბოლო ვადამდე სამი დღით ადრე, გაკოტრების მმართველი მალხაზ ალბორიშვილი ყველაზე რეალურ მყიდველად "დონბასის ინდუსტრიულ კავშირს" ასახელებდა.

ИСД 1995 წელს დაარსდა, დღეისთვის ის ერთ-ერთი უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიაა. მის სტრუქტურაში 40 სამრეწველო კომპანია შედის, რომლებიც შავი მეტალურგიითა და მძიმე მრეწველობით არიან დაკავებულნი. ის მსოფლიო ბაზარზე ქვანახშირის, კოქსის და ბუნებრივი გაზის მსხვილი ტრეიდერია.

ახლახან, 24 ოქტომბერს, კომპანიამ მონაწილეობა მიიღო უკრაინის უდიდესი მეტალურგიული ქარხნის "კრივოიროჟსტალის" აქციათა პაკეტის (93,2%) აუქციონში, სადაც საწყისი ფასი 2 მილიარდი დოლარი იყო. ИСД-მ აუქციონში მონაწილეობის უფლების მისაღებად ბეს სახით 200 მილიონი დოლარი გადაიხადა. მართალია, ქარხანა ინდურ-ინგლისურ კომპანიას დარჩა, მაგრამ უკრაინული კომპანია მათ ვაჭრობაში 4 მილიარდ 800 ათას დოლარამდე მიჰყვა.

"უკრაინელები თანახმანი არიან, პენსიონერების პენსიები გადაიხადონ, შეინარჩუნონ პროფილი და დაასაქმონ ადგილობრივი მუშახელი. ისინი ერთი კვირა იყვნენ ქარხანაში, დეტალურად შეისწავლეს ყველაფერი, გვქონდა კონსულტაციები და კმაყოფილები წავიდნენ," - ამბობდა მაშინ ალბორიშვილი. ასეთი ინტერესის შემდეგ სრულიად ალოგიკური იყო ის, რომ ИСД-მ აუქციონში მონაწილეობა აღარ მიიღო.

უკრაინული მხარე ამის მიზეზად გაკოტრების მმართველს ასახელებს და აცხადებს, რომ არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს მისგან აუქციონში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტაცია მიღოთ.

განაცხადების მიღების ბოლო ვადა 7 ოქტომბერი იყო. 29 სექტემბერს უკრაინელების ბოლო წერილობით თხოვნაზე მალხაზ ალბორიშვილმა ასეთი წარწერა გააკეთა: "2005 წლის 5 ოქტომბრამდე შევძლებთ წარმოგიდგინოთ ქონების დეტალური ჩამონათვალი და ხელშეკრულების პროექტი."

არსებობს 2 სექტემბრით დათარიღებული "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" კრედიტორთა კომიტეტის სხდომის N3 ოქმი, სადაც წერია: "გაკოტრების მმართველმა ალბორიშვილმა წარმოადგინა ანგარიში და განმარტა, რომ ს "რმკ"-ს ქონება დღეის მდგომარეობით მთლიანად არის დაბრუნებული და აღრიცხული საჯარო რეესტრში, **მოხდა ქონების ინვენტარიზაცია და აღწერა, შედგენილ იქნა კომბინატის შენობა-ნაგებობების ტექნიკური პასპორტები და ნახაზები, საკადასტრო რუკები, ჩატარებულ იქნა ქონების აუდიტორული შეფასება.**" ეს კი იმას ნიშნავს, რომ ალბორიშვილს 29 სექტემბერს და უფრო ადრეც შეეძლო დაინტერესებული კომპანიისათვის ყველა დოკუმენტი მიეცა.

"აუდიტორული დასკვნა მქონდა, მაგრამ ჩვენ ვერ შევთანხმდით ერთ რამეზე, მე უნდა გადამეღო იმის ქსეროასლი თუ იმას უნდა გადაეღო..." - ასეთი დაუჯერებელი არგუმენტი მოაქვს თავის გასამართლებლად გაკოტრების მმართველს.

"ჩვენ იძულებულნი ვართ უარი ვთქვათ აუქციონში მონაწილეობაზე. ამ გადაწყვეტილების მიღების მთავარი არგუმენტია ის, რომ შეუძლებელი აღმოჩნდა სანდო და სრული ინფორმაციის მიღება გასაყიდ ობიექტზე. ამ მომენტამდე ჩვენ არ წარმოგვიდგენენ ავტორიტეტული აუდიტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტაცია. აბსოლუტურად ბუნდოვანია საკუთრების უფლების გადასვლის პირობები. მყიდველის უფლება წამგებიან პოზიციაშია, ინფორმაცია არ არის სრული.

აუქციონის გადადების და ახალი ტრანსპარენტული პირობების მომზადების შემთხვევაში, სადაც საწყისი დოკუმეტაცია და პროცედურები მიღებულ საერთაშორისო პრაქტიკას უპასუხებს, ჩვენ კვლავაც მზადყოფნას ვაცხადებთ შევიძინოთ საწარმოს აქტივები სამუშაოების აღდგენის მიზნით, დაწყებული მილების წარმოებიდან" - ასეთი შინაარსის წერილი მისწერა 5 ოქტომბერს ИСД-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ სერგეი ტარუტამ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, როცა დაპირებული დოკუმენტაცია კვლავ ვერ მიიღო (წერილის რუსული დედანი, საიდანაც შესრულებულია თარგმანი, მოცემულია ფოტოზე).

7 ოქტომბერს ИСД-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა საქართველოს პრემიერ-მინისტრს აუქციონის გადადების თხოვნით. იქვე ნათქვამია, რომ უკრაინელებმა რუსთავიდან მიიღეს იტალიური კომპანიის საპროტესტო წერილი - **აუქციონი უკანონოა, რუსთავი ჩვენმა კლიენტებმა 2003 წელს იყიდეს. მათ საქართველოს ხელისუფლებას საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრში უკვე უჩივლეს და თუ მაინც იყიდონ რუსთავის ქარხანას, ჩვენს წინაშე იქნებით პასუხისმგებლებიო.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პასუხი სერგეი ტარუტას არც ერთ წერილზე არ მიუღია.

რას წარმოადგენს "ენერგია და ინდუსტრია"?

შპს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" საქართველოში რეგისტრირებული კომპანიაა და მან ერთხელ უკვე ვერ შეასრულა საქართველოს ხელისუფლებასთან დადებული ხელშეკრულება (08.05.2003წ.)

ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან:

"საწესდებო კაპიტალი - 34 000 ლარი;

დამფუძნებელი - შპს "Georgian Steel Holding Limited", რეგისტრირებული დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, ქ, ჯერსის ლეიტენანტ გუბერნატორის მიერ - საზოგადოების წილის 99%; (წარმომადგენელი გ.წიკლაური) შვეიცარიის კონფედერაცია;

სახელმწიფო რეგისტრაციის (ცვლილების) თარიღი - 25.02.2000წ; 21.01.2005წ. N9/4-538"

წარმოშობის ისტორია:

2000 წლის 13 იანვარს, უკრაინული "ენერგოკომპლექსის" სახელით, კიეველმა ა. კუნენკომ საქართველოს ხელისუფლებას სააქციო საზოგადოება "თუჯი-XXI"-ის აქციების საკონტროლო პაკეტის მართვის უფლებით გადაცემა სთხოვა. 25 თებერვალს კუნენკომ შპს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" დაარსა, რომელმაც უკვე 14 მარტს "თუჯის" აქციათა პაკეტის მართვის უფლებაზე გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა.

18 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ გამოსცა N468 განკარგულება "შპს "თუჯი-XXI"-ის საწესდებო კაპიტალის შპს "ენერგია და ინდუსტია კომპლექსისთვის 10 წლის ვადით მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე".

ჩვენ მიერ მოპოვებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ხელშეკრულების გაფორმებას მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა მიხეილ სააკაშვილმა შეუშალა ხელი. მისმა მოადგილემ, ირაკლი ოქრუაშვილმა მიხეილ უკლებას ორჯერ გაუგზავნა უარყოფითი დასკვნა (N01/92-391, 23.02.2001 და N01/92-1513, 01.05.2001), სადაც ის ამ გარიგების კანონთან შეუსაბამობაზე მიუთითებს და რეკომენდაციას აძლევს: **"საინვესტიციო კონკურსის შედეგები ბათილად იქნეს ცნობილი და გამოცხადდეს ხელახალი კონკურსი. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის ზემოაღნიშნული განკარგულება და ინვესტორთან ხელშეკრულება გაფორმდეს საინვესტიციო კონკურსის პირობების სრული დაცვით".**

2002 წლის იანვარში ეკონომიკის მინისტრი ივანე ჩხარტიშვილი ქონების მართვის მინისტრს წერილს სწერს (N8-1/2-33) და ხელშეკრულების გაფორმების დაჩქარებას სთხოვს.

სააკაშვილ-ოქრუაშვილის დაწუნებული ხელშეკრულება, მათი იუსტიციის სამინისტროდან წამოსვლის შემდეგ, 2003 წლის 8 მაისს გაფორმდა, რომელსაც ხელს აწერენ "ენერგია და ინდუსტრიას" დირექტორი ა. კუნენკო და ქონების მართვის მინისტრი ს. პავლიაშვილი.

"ენერგია და ინდუსტრია კომპლექსმა" თუჯში ორი წლის განმავლობაში 10 მლნ აშშ დოლარამდე ინვესტიცია უნდა განახორციელოს, საჭიროების შემთხვევაში - 20 მლნ დოლარამდე. ყოველი კონკრეტული ინვესტიცია უნდა დაადასტუროს აუდიტორულმა კომპანიამ KPMG-იმ ან Price&Waterhouse-მა. ორ წელში ინვესტორმა უნდა აამუშაოს თუჯის და აგლომერატის წარმოება, ასევე უნდა აამუშაოს თბოელეტქროცენტრალის ნაწილი, რომელიც პარალელურად გადაეცა," - ასეთია ხელშეკრულების პირობები. ორი წელი გავიდა, თუმცა "ენერგია და ინდუსტრია" "თუჯში" არაფერი აუმუშავებია.

"თუჯში" დარღვევები ფინანსურმა პოლიციამ მეტალურგიის აუქციონამდე კარგა ხნით ადრე აღმოჩინა და შესაბამისი დასკვნა ეკონომიკის სამინისტროს გაუგზავნა. მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ "24 საათს" განუცხადა, რომ შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც მისივე მოადგილეს კახა დამენიას ჩააბარა. დამენია კურირებდა მეტალურგიულის აუქციონს. ჩვენი ინფორმაციით, კომისიის დასკვნის დაწერა რამდენჯერმე გადაიდო.

გამოდის, რომ მეტალურგიული კომბინატის აუქციონში გაიმარჯვა კომპანიამ, რომელმაც საქართველოს ხელისუფლებასთან ერთხელ უკვე დადებული ხელშეკრულება ვერ ან არ შეასრულა და რომლის 99%-ის დღევანდელი მფლობელი ოფშორული, გაურკვეველი წარმოშობის ფირმაა.

"კრივოიროჟსტალის" აუქციონთან დაკავშირებით, უკრაინის მინისტრთა კაბინეტმა სპეციალური გადაწყვეტილება მიიღო: **"ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული ან მათთან რაიმენაირად დაკავშირებული კომპანიები აუქციონზე არ დაიშვებიან."** საქართველოშიც იგივე რომ გაეკეთებინათ, მეტალურგიული კომბინატის აუქციონის შედეგი სხვაგვარი იქნებოდა, რადგან შპს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" მასში მონაწილეობის უფლებას ვერ მიიღებდა.

"რა თქმა უნდა, არ არის სასურველი ოფშორებს ამოფარებული კომპანიების შემოსვლა, რადგან ისინი ნაკლებად გამჭვირვალეა და ბევრ სიურპრიზებს უნდა ველოდოთ. მაგრამ აქ არის ალტერნატივა - თუ იცი, რომ ოფშორის გარეშე ობიექტი არ გაიყიდება, მაშინ უკეთესია მან იყიდოს, ვიდრე პრივატიზაციის პროცესი შეჩერდეს. რაც შეეხება ქართულ საბანკო სექტორს, ჩვენ მალე სრულიად ავკრძალავთ ოფშორების შემოსვლას," - ამბობს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ეკონომიკური ექსპერტი რომან გოცირიძე.

მეტალურგია და კურდღლები

"რუსთავის მეტალურგიული კომბინატი არის ადგილი, სადაც მხოლოდ კურდღლები დარბიან," - ეს შეფასება სახელმწიფო მინისტრს, კახა ბენდუქიძეს ეკუთვნის.

"მეტალურგიული კომბინატი ლაკმუსის ქაღალდია დღევანდელი მთავრობის ეკონომიკური გუნდისთვის, ხოლო ყოფილი ეკონომიკის მინისტრისთვის ტუალეტის ქაღალდთან იყო გაიგივებული. ბენდუქიძე, როგორც თავად მითხრა, არასოდეს ყოფილა ქარხანაში. ჩემი აზრით, მისი ყველა გადაწყვეტილება ამ ქარხნის გარშემო უარგუმენტო ჯინიანობაზე და კონკრეტული ადამიანების მისამართით პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე იყო ორიენტირებული. მე მისთვის საშიში ვიყავი, რადგან ჩემი მეგობრებისა და კოლეგებისათვის მისი რუსული წარმატებული მითი რეალურად საკმაოდ ნაცნობი იყო, ამიტომ კახა ფიქრობდა, რომ მე, ადრე თუ გვიან, რაიმეს ვიტყოდი..

ჩემი რეაბილიტაციის მმართველობის 6 თვეში, არანორმალურ პირობებში, ბენდუქიძის გააფთრებული წინააღმდეგობის ფონზე, სახელმწიფო ბიუჯეტში 1,5 მლნ ლარი შევიტანეთ. კარგად ამუშავებისთვის ორი თვე გვჭირდებოდა და ამის შემდეგ პრივატიზაცია გაცილებით დიდ ფასში მოხდებოდა. "ორი თვე შენ ვერ დაგიცდი, ჩვენ სასწრაფო პრივატიზაციას ვგეგმავთ," - იყო მისი პასუხი. მას შემდეგ წელიწადნახევარი გავიდა. ეს პერიოდი ქარხნის ორ დგანს რომ ემუშავა, გარდა პრივატიზების თანხებისა, ბიუჯეტი მინიმუმ 20 მლნ დოლარს მიიღებდა და 3000 კაცი დასაქმდებოდა. განაწყენებული კაცის პოზიციიდან არ ვლაპარაკობ, თუ გნებავთ, გაუნაწყენებელ მეტალურგებს დაელაპარაკეთ და გადაამოწმეთ," - ამბობს მეტალურგიის რეაბილიტაციის ყოფილი მმართველი ბენო ქაშაკაშვილი.

"რმკ"-ს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი რობიზონ ლომიძე ის ადამიანია, რომელიც თავისი ხუთი თითივით იცნობს კომბინატს. ის ამბობს, რომ ოთხი-ხუთი საამქროს ამუშავება და მომგებიან წარმოებად გადაქცევა მცირე დროში და მცირე სახსრებით შეიძლება.

"მილსაგლინავი საამქროს ამუშავება 40 დღეში შეიძლება და ამას, ჩვენი გათვლებით, დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარი დასჭირდება. ამის შემდეგ აქ 1500 კაცი დასაქმდება, ხოლო საჭირო მენეჯმენტის არსებობის პირობებში, რამდენიმე მილიონიანი მოგება გარანტირებულია. 2 კვირაში 15-20 ათასი ლარით მილამდიდავი საამქროს აღდგენაა შესაძლებელი და ის თვეში 150 000 დოლარის მოგებას მოიტანს. იგივე შეიძლება ითქვას საფასონოსამსხმელო საამქროზე. მექანიკური საამქრო კი დღესაც მუშაობს," - ამბობს ლომიძე.

ინტერესთა თანხვედრა, ანუ ვის რა სჭირდება?

წმინდა მეტალურგიული ხაზის საამქროების ჯერ კიდევ შემორჩენილი ასი ათასობით ტონა ჯართის და 500 ჰა მიწის გარდა, კომბინატს სხვა წარმოებისათვის საინტერესო ქონებაც გააჩნია:

II ლოტი - კირისა და დოლომიტის საამქრო. იქ 80-მდე ადამიანია დასაქმებული. იწარმოება გამომწვარი და ჩამქრალი კირი, რომელიც "მადნეულის" ოქროს გადამამუშავებელი ფაბრიკის მუშაობისთვის აუცილებელი კომპონენტია. საამქრო, რომელსაც საშუალოდ 3-4 მილიონამდე წლიური მოგება აქვს, დღემდე თვეში 1000 დოლარად იყო გაქირავებული (ხელშეკრულება N2439, 1.06.2001წ., ხელშეკრულების ვადა 10 წელი).

საამქროს ბალანსზე იმყოფება თითქმის ახალი, 90 მეტრი სიგრძის და 3 მ დიამეტრის მბრუნავი ღუმელი, შესაბამისი საწარმოო ინფრასტრუქტურით, რომელსაც, მცირედი ინვესტიციის შემდეგ, შეუძლია 50 000 ტონა ცემენტის წლიური წარმოება, მმრალი მეთოდით. მისი პროდუქციის თვითღირებულება გაცილებით დაბალი იქნება, ვიდრე დღეს არსებული ორი გიგანტის - "კასპიცემენტის" და "რუსთავცემენტის", პროდუქციის თვითღირებულება. სწორედ მათთვის ნიშნავს ამ წარმოების ამუშავება კონკურენტის გაჩენას და ამიტომაც არ მუშაობდა ის წლების მანძილზე.

III ლოტი - დედოფლისწყაროს კირქვის კარიერი - გაიყიდა 500 000 დოლარად, თავისი მძიმე ტექნიკით. კარიერი მხოლოდ ორ წარმოებას კვებავდა - რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს (ფოლადის წარმოებისთვის) და ცემენტის ქარხანას.

მესამე კომპონენტი, რომელიც ცემენტის წარმოებას სჭირდება - ეს ცნობილი წიდასაყარია, რომლის საბალანსო ღირებულება 30 მლნ აშშ დოლარია. წიდასაყარი **I ლოტში** მოხვდა და კომბინატის ძირითად ქონებასთან ერთად (30-მდე სხვადასხვა საამქრო) 20,5 მილიონად გაიყიდა.

კირისა და დოლომიტის საამქრო "მადნეულს" სჭირდება, კირქვის კარიერი - ცემენტის წარმოებას, წიდა - ასევე ცემენტს. კირისა და დოლომიტის საამქროს შეუძლია გამოუშვას ცემენტი და კონკურენცია გაუწიოს ცემენტის ქარხანას. ინტერესები გამოკვეთილია და გამოკვეთილი იყო წლების მანძილზე.

ამას მოწმობს 1998 წლის 13 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება ცემენტის ქარხანასა და მეტალურგიას შორის. ამ ხელშეკრულებით, კომბინატის კუთვნილი დედოფლისწყაროს კირქვის კარიერიდან მოიჯარე, ანუ ცემენტის ქარხანა, კომბინატის ტექნიკითვე იღებს მადანს და მიაქვს ისევ მეტალურგიულ კომბინატში. გადახდა წარმოებს ნატურით ანუ კირქვით: "მუხლი 8.1: ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მფლობელობისა და სარგებლობისათვის იჯარის ქირა განისაზღვრება კირქვის სახით, არაუმეტეს ათი ათასი ტონისა თვეში". ეს პირობა მომგებიანია მხოლოდ ცემენტის ქარხნისთვის და მადნეულისთვის. ამ პერიოდში მეტალურგიაში ფოლადი ჯერ კიდევ დნებოდა, თუმცა თვეში 100-120 ტონაზე მეტ კირქვას არ მოიხმარდა.

ხელშეკრულებას ხელს აწერს ცემენტის ქარხნის მაშინდელი დირექტორი **ზ. ლობჟანიძე** და მეტალურგიული კომბინატის გენერალური დირექტორი **ვ. ჭეიშვილი.** დღეს **დავით ბეჟუაშვილის სიმამრი, ვახტანგ ჭეიშვილი,** ცემენტის ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა, **ზურაბ ლობჟანიძე** კი მეტალურგიიდან "მადნეულში" წავიდა, "მადნეულიდან" - შვეიცარიაში, რევოლუციური ხელისუფლებისგან თავის დასაცავად.

- "ენერგია და ინდუსტრიას" უკან ზურაბ ლობჟანიძე და ლევან მამალაძე დგანან," - ასეთი დაუდასტურებელი ვერსია გავრცელდა ქართული მასმედიით "მადნეულის" კონკურსის შედეგის გამოცხადებამდე. კომპანიის იურისტმა ირაკლი მგალობლიშვილმა, რომელიც ადრე ლობჟანიძის ადვოკატიც იყო, ეს ინფორმაცია უარყო, თუმცა ცილისწამებისთვის არავის დამუქრებია

ძნელი დასაჯერებელია, ლევან მამალაძეს დღევანდელ ხელისუფლებაში იმხელა გავლენა ჰქონდეს, რომ ასეთი აშკარა სქემით ეკონომიკური ბერკეტების დაბრუნებას ცდილობდეს. მისი სახელის წამოტივტივება უფრო საზოგადოებითვის თვალის ახვევას ჰგავს. სავარაუდოდ, კომპანია, რომელშიც ადრე მამალაძის ინტერესები იკვეთებოდა, დღეს სხვამ გამოიყენა და ეს სხვა ძალიან გავლენიანი ადამიანი უნდა იყოს.

ყველაზე მთავარი კი ამ ყველაფერში არის ის, რომ ამ სქემამ ქართულ მეტალურგიას დააკარგვინა ძლიერი, სერიოზული და რეალური ტრანსნაციონალური კომპანია, რომელსაც ამ წარმოების გადარჩენის და იქ რამდენიმე ათასი ადამიანის დასაქმების სურვილიც ჰქონდა და ფინანსებიც. ქარხანა კი იყიდა კომპანიამ, რომლის გეგმები ამ წარმოებასთან დაკავშირებით "დიდი და შთამბეჭდავია", ზუსტად ისევე, როგორც "თუჯის" შემთხვევაში.

დასკვნები მკითხველისთვის მიგვინდვია

- რატომ გაიყიდა საწარმო მაინცდამაინც 22 მილიონად? როგორ მოხდა, რომ ცნობილი ტრანსნაციონალური კომპანიის ნაცვლად ქარხანა იყიდა უცნობმა კომპანიამ, რომელმაც ერთხელ უკვე ვერ შეასრულა საქართველოს ხელისუფლებასთან გაფორმებული ხელშეკრულება? აპირებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება რამენაირად შეზღუდოს ქვეყანაში ოფშორული კომპანიების შემოსვლა და მათი პრივატიზაციაში მონაწილეობა? - ამ კითხვებით "24 საათმა" სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძეს და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართა.

"ეს კითხვები კახა ბენდუქიძეს არ ეკუთვნის, რადგან ის სახელმწიფო მინისტრია რეფორმების კოორდინაციის საკითხებში და პრივატიზაციის საკითხები არ ეხება," - ასეთი პასუხი მივიღეთ ბენდუქიძის პრესსამსახურიდან.

"მეტალურგიულის პრივატიზაციასთან დაკავშირებით გაკოტრების მმართველს მიმართეთ, ეს მისი კომპეტენციაა," - ასეთი იყო ეკონომიკური განვითარების მინისტრის ირაკლი ჩოგოვაძის პასუხი. ამით მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ ერთ ადამიანს ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა მეტალურგიურ კომბინატთან დაკავშირებით.

"უკვე 8 თვეა გაკოტრების მმართველად ვმუშაობ, დღემდე ხელფასი არ ამიღია და არც ვიცი რა თანხას მივიღებ ჩემ მიერ შესრულებულ სამუშაოში," - ამბობს "24 საათთან" საუბარში მალხაზ ალბორიშვილი...

Castel
ნარკომანიის წინააღმდეგ

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ქობულეთის რაიონის, დაბა ჩაქვის წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **დაბა ჩაქვის სათემო კავშირთან "ნაკადული"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ნაკადული"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:
საქართველო, ქობულეთის რაიონი,
დაბა ჩაქვის გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი რომან დიასამიძე, სათემო კავშირი "ნაკადული"-ს თავმჯდომარე
2005 წლის 25 ნოემბრიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 500** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:
საქართველო, ქობულეთის რაიონი,
დაბა ჩაქვის გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი რომან დიასამიძე, სათემო კავშირი "ნაკადული"-ს თავმჯდომარე
2005 წლის 23 დეკემბრის 12 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

PSP პსპ

გვეკითხებით? გიპასუხებთ!

ჩვენი საინფორმაციო სამსახურის ნომერზე ხშირად შემოდის ჩარეკი შეკითხვები:

რატომ არ გაანია პსპ-ს აფთიაქებს ე.წ. ხარისხის ნიშანი "A"?

პსპ საინფორმაციო სამსახური გაცნობებთ, რომ "PSP - აფთიაქებ" პრიორიტეტი, უდავოდ, ხარისხია, რომელსაც ჩვენი საფთიაქო ქსელი უზრუნველყოფს GDP (სათანადო დისტრიბუციის პრაქტიკა) საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ნიშანი "A" კი არ წარმოადგენს საერთაშორისო ექსპერტების ან სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დადგენილ ხარისხის ნიშანს. აღნიშნული ნიშანი მხოლოდ კომპანია ჯი-პი-სი-ს ანუ როგორ მესამე უარმაცეტული დისტრიბუტორის სარეკლამო კამპანიის ნაწილია.

პსპ-ს საფთიაქო ქსელს გამოარჩევს თქვენთვის უკვე კარგად ცნობილი ნიშანი "PSP". ჩვენ ყოველდღიურად ვეშახურებთ 20 000 მომხმარებელს, რომელთათვისაც ხარისხი და "PSP" იდენტური ცნებებია.

პსპ-ს საინფორმაციო სამსახური

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს თბილისში განლაგებული შენობა - ნაგებობების ფასადების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: სარემონტო ფართი - 90.000მ2, კედლის გაწმენდა (გაფხეკვა), კედლის დამუშავება ფასადის ფითხით, გრუნტით, კედლის გალესვა ქვიშა - ცემენტის ხსნარით, ფასადის შეღებვა 2 პირი ფასადის საღებავით.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 31 დეკემბრისა.

3. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 6 დეკემბრის 12 საათიდან 7 დეკემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, III სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

· ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

- ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

4.3.როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ:

N	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	შესრულებული სამუშაოს ტიპი	დასრულების თარიღი

- ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ:

N	მოწყობილობა-მექნიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთარი,იჯარით აღებული (ვისგან)

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ:

თანამდებობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება(წელი)	ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება, წელი)

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 8 დეკემბრის 12 საათიდან 9 დეკემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, III სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან ნუგზარ კალაძე-საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს საავტომობილო საწვავის (ბარათებით) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოცულობა - 50.000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობის საავტომობილო საწვავი (საბარათო სისტემა). ბარათების მოქმედების ვადა უნდა იყოს უვადო.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: შესასყიდი საწვავის მარკა უნდა აკმაყოფილებდეს A95-ის კლასს (პრემიუმი), მომსახურეობა უნდა წარმოებდეს ტენდერში მონაწილე ფირმის ყველა გასამართ სადგურში, მისი მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ შესაბამის სტანდარტებს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადისა.

3. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 6 დეკემბრის 12 საათიდან 7 დეკემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, III სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

- ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

- ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

4.2.ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის(ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

4.2.ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის(ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

4.3.როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ:

N	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	შესრულებული სამუშაოს ტიპი	დასრულების თარიღი

- ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ:

N	მოწყობილობა-მექნიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთარი,იჯარით აღებული (ვისგან)

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ:

თანამდებობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება(წელი)	ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება, წელი)

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 8 დეკემბრის 12 საათიდან 9 დეკემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, III სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე- საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

bp

მონაცემთა ბაზის ასისტენტი/SLT მდივანი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს მონაცემთა ბაზის ასისტენტის/SLT მდივნის თანამდებობის დასაკავებლად. მონაცემთა ბაზის ასისტენტი/SLT მდივანი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს აღწერა:

მონაცემთა ბაზის ასისტენტი/SLT მდივანი იმუშავებს BP-ს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გუნდში და პასუხისმგებელი იქნება ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერისა და მთელი გუნდისათვის საჭირო დახმარების გაწევაზე.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

მონაცემთა ბაზის ასისტენტის/SLT მდივნის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

- ზოგადი ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება საქართველოში BP-ის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერისათვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გუნდის ხელმძღვანელისა და ამ გუნდისათვის;

ზოაგდი ადმინიტრაციული სამუშაოს შესრულება უსაფრთხოების ხელმძღვანელობის გუნდისათვის (SLT);

- შეხვედრების (SLT, შეხვედრები ჯანდაცვის საკითხებზე და სხვა) ოქმებისა და დღის წესრიგების წარმოება;

ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებისადმი პასუხისმგებლობის გამოვლენა;

- BP-ს თანამშრომელთათვის, მათ შორის საველე უსაფრთხოების ოფიცრებისათვის, BP-ს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ტრენინგების ჩატარებისათვის ხელშეწყობა;

აქტიური მონაწილეობა უსაფრთხოების პროგრამებში;

- STOP-ისა და ASA-ს პროგრამების მონაცემების განახლება და შემდგომი ქმედების აღრიცხვა;

შემთხვევების მართვისა და ანალიზის სისტემის (IMAS) ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

- მოქმედების აღრიცხვის სისტემის (ATS) მონიტორინგი და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში შესყიდვებისა და მომსახურების შეკვეთების ადმინისტრირება MAXIMO-ს სისტემაში;

- მილსადენის კომპანიაში შემომავალი და გამავალი კორესპონდენციის აღრიცხვა;

საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტებისა და შეხვედრების თარგმნა;

- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

მოთხოვნები:

კანდიდატს უნდა ჰქონდეს:

- მინიმუმ ორი წლის სამუშაო გამოცდილება დასავლურ ორგანიზაციაში;

დოკუმენტების კონტროლის, მათ შორის კორესპონდენციის, მონაცემებისა და ტექნიკური ინფორმაციის მართვის გამოცდილება;

- კანდიდატი თავისუფლად უნდა ფლობდეს ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებს (წერილობით, სასაუბრო);

შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება: MS Word, Excel, PowerPoint;

- ადმინისტრაციული სისტემების ჩამოყალიბებისა და უზრუნველყოფის უნარი;

გუნდური მუშაობის უნარი, თანამშრომლებისა და სხვა გუნდის წევრებთან ურთიერთობის უნარი;

- საჭიროების შემთხვევაში დამატებითი საათების განმავლობაში მუშაობა;

კონტრაქტებზე და სხვა სახის იურიდიულ დოკუმენტებზე მუშაობის მრავალმხრივი ცოდნა/გამოცდილება;

- შეხვედრების ოქმების წარმოების (სტენოგრაფიული ან სწრაფი ჩანაწერების გაკეთება) გამოცდილება და უნარი.

კანდიდატი უნდა:

უწყობდეს ხელს უსაფრთხოების კულტურის "საფეხურეობრივ განვითარებას";

- მზად იყოს, საჭიროების შემთხვევაში, გაემგზავროს და დარჩეს ქალაქგარეთ.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **30 ნოემბერი, 2005 ოთხშაბათი**.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
BP Explorations Caspian Sea Ltd.

bp

უსაფრთხოების ასისტენტი

btc

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს უსაფრთხოების ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად. უსაფრთხოების ასისტენტი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს აღწერა

უსაფრთხოების ასისტენტი ანგარიშვალდებული იქნება მილსადენის კომპანიის უსაფრთხოების მენეჯერის წინაშე და მისი ძირითადი მოვალეობაა ზოგადი დამხმარე ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები

უსაფრთხოების ასისტენტის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით)::

- ზოგადი ადმინისტრაციული დახმარების გაწევა მილსადენის კომპანიის უსაფრთხოების მენეჯერისათვის;

BP-ს თანამშრომელთათვის, მათ შორის საველე უსაფრთხოების ოფიცრებისათვის, BP-ს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ტრენინგების ჩატარებისათვის ხელშეწყობა;

- გუნდების მიერ ჩატარებული სამუშაოს მიხედვით მილსადენის გასხვისების დერეფნის რუქის განახლება დათვარიელების ფურცლების ყოველღიური მოთხოვნის საფუძველზე;

მილსადენის ინცინდენტების ანგარიშების დაარქივება და ორგანიზება;

- შემთხვევების მართვისა და ანალიზის სისტემის (IMAS) ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

მონაცემთა ბაზის წარმოება ყველა იმ შემდგომი ქმედების აღსარიცხავად, რომელიც თან მოჰყვება ინცინდენტების/პოტენციური ინციდენტების ანგარიშებს;

- ყოველთვიური ბიულეტენის მომზადება და გამოშვება;

ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებისადმი პასუხისმგებლობის გამოვლენა;

- აქტიური მონაწილეობა უსაფრთხოების პროგრამებში;

დახმარების გაწევა "მიღებული გამოცდილების" ანგარიშების წარმოებაში, რათა მოხდეს კორექციული მოქმედების განხორციელება; "მიღებული გამოცდილების" ანგარიშების წარმოების მიზანია შეინარჩუნოს და აკონტროლოს თავდაპირველი ინციდენტი და თავიდან იქნას აცილებული დაშვებული შეცდომის განმეორება;

- "მიღებული გამოცდილების" ანგარიშების დაარქივება და ორგანიზება;

მილსადენის კომპანიაში შემომავალი და გამავალი კორესპონდენციის აღრიცხვა (DVR-ების ჩათვლით);

- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში შესყიდვებისა და მომსახურეობის შეკვეთების ადმინისტრირება და კონტროლი MAXIMO-ს სისტემაში;

საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტებისა და შეხვედრების თარგმნა;

- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

მოთხოვნები:

კანდიდატს უნდა ჰქონდეს:

- მინიმუმ ორი წლის სამუშაო გამოცდილება დასავლურ ორგანიზაციაში;

დოკუმენტების, მათ შორის კორესპონდენციის, მონაცემებისა და ტექნიკური ინფორმაციის, კონტროლის გამოცდილება;

- კანდიდატი თავისუფლად უნდა ფლობდეს ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებს (წერილობით, სასაუბრო);

შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება: MS Word, Excel, PowerPoint;

- ადმინისტრაციული სისტემების ჩამოყალიბებისა და უზრუნველყოფის უნარი;

გუნდური მუშაობის უნარი, თანამშრომლებისა და სხვა გუნდის წევრებთან ურთიერთობის უნარი;

- საჭიროების შემთხვევაში დამატებითი საათების განმავლობაში მუშაობა;

კონტრაქტებზე და სხვა სახის იურიდიულ დოკუმენტებზე მუშაობის მრავალმხრივი ცოდნა/გამოცდილება;

- შეხვედრების ოქმების წარმოების (სტენოგრაფიული ან სწრაფი ჩანაწერების გაკეთება) გამოცდილება და უნარი.

კანდიდატი უნდა:

უწყობდეს ხელს უსაფრთხოების კულტურის "საფეხურეობრივ განვითარებას";

- მზად იყოს, საჭიროების შემთხვევაში, გაემგზავროს და დარჩეს ქალაქგარეთ.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **30 ნოემბერი, 2005 ოთხშაბათი**.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
BP Explorations Caspian Sea Ltd.

ultra group

ნარკომანიის წინააღმდეგ

წარმატების 10 წელი

როგორ გახდა GG&MW პირველი ტრანსნაციონალური კომპანია საქართველოში?

ეთერ მამულაშვილი

1825 წლის გაზაფხული. ბორჯომში ხერსონის გრენადერთა პოლკი განთავსდა. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა მდინარე ბორჯომულას მარჯვენა სანაპიროზე თბილი წყარო აღმოაჩინა. მოგვიანებით, მან წყაროს წყალი პოლკოვნიკ პოპოვს მიუტანა, რომელსაც იმხანად კუჭის დაავადება აწუხებდა. მას შემდეგ, რაც პოპოვმა ამ წყლის სამედიცინო თვისებები საკუთარ თავზე გამოსცადა, ბრძანა, წყარო ქვებით შემოეღობათ, ხოლო მის ახლოს პატარა ქოხი აეშენებინათ.

სხვათა შორის, ჩვენამდე მოღწეული ისტორიული ცნობების თანახმად, პოლკოვნიკი პოპოვი ის პირველი ადამიანი იყო, რომელმაც ბორჯომის წყაროს წყალს სამკურნალო თვისებების გამო რეკომენდაცია გაუწია.

წყაროს გემო და თვისება დღესაც უცვლელია, ქოხის ნაცვლად კი აქ თანამედროვე სტანდარტების უზარმაზარი ქარხანა აუშენებიათ. ეს "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" (GG&MW) ახალი საწარმოა, რომლის პრეზენტაცია ორი დღის წინ ბორჯომში, უამრავი სტუმრისთვის მოეწყო. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან დაახლოებით 300 სტუმარი კვირას ბორჯომში მხოლოდ იმიტომ ჩამოვიდა, რომ იმ დღეს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის წარმატების 10 წელი ერთად ეზეიმათ.

წარმატების საიდუმლო

ცოტა ხნის წინ რუსეთში ერთი მეტად საინტერესო სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარდა. კითხვაზე - რომელი სამი სიტყვა გახსენდებათ საბჭოთა წყობიდან, გამოკითხულთა უმრავლესობამ "აეროფლოტი", "ვოლგა" და "ბორჯომი" დაასახელა. რუსეთში "ბორჯომი" რომ მართლაც პოპულარულია, ამას შემდეგი რამდენიმე ციფრიც მოწმობს. ამ ქვეყანაში წელს "ბორჯომის" გაყიდვები შარშანდელთან შედარებით 40 პროცენტით გაიზარდა. აქ 700 სხვადასხვა სამარკო ნიშანს შორის "ბორჯომს" მესამე ადგილზეა. დღეს რუსული ბაზრის ზუსტად 11 პროცენტი "ბორჯომს" უკავია.

ის, რომ GG&MW წარმატებული კომპანიაა, ამას ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტიტუტებიც აღიარებენ. რამდენიმე წლის წინ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა - EBRD საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის განვითარებაში 15 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია ჩადო. ცოტა ხნის წინ ბანკის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ GG&MW-ში ჩადებული ინვესტიცია არის EBRD-ის მიერ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში განხორციელებული საინვესტიციო პროექტებიდან ერთ-ერთი სამ საუკეთესო პროექტს შორის.

GG&MW-ის წარმატების შესახებ ყველაზე ხშირად ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტებს მოუთხრობენ. აქ სპეციალური ლექციაც კი იკითხება "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" განვითარებისა და დამაარსებლების შესახებ. უფრო კონკრეტულად, ლექცია შეიცავს ქართველი და უცხოელი ინვესტორების მიერ კომპანიის ფორმირების პროცესის ყველა საინტერესო დეტალს, მათ შორის, იმ მეთოდებსაც, რომელთა გამოყენებითაც ინვესტორებს საშუალება მიეცათ, დაეძლიათ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის დამახასიათებელი კორუფცია და კრიმინალური ძალაუფლება ბიზნესზე, და თანამედროვე საბაზრო პრინციპებზე მომუშავე კომპანია ჩამოეყალიბებინათ.

რამ განაპირობა GG&MW-ს ასეთი წარმატება? კომპანიის დამფუძნებელი და პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე "24 საათის" ამ კითხვას ასე პასუხობს: **"პირველ რიგში, იმ ხალხის თავდადებულმა შრომამ, რომელიც ამ კომპანიაში მუშაობს, როგორც ადგილობრივმა, ისე მოწვეულმა ძალებმა. კიდევ, სწორად დანახულმა სტრატეგიამ, რომელიც კომპანიამ თავიდანვე შექმნა და, რაც მთავარია, თვითონ ბორჯომის სახელმა."**

მინისაწარმოდან - ტრანსნაციონალურ კომპანიამდე

პირველი წლები "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების" კომპანიისთვის ძალიან მძიმე და რთული იყო. იმხანად ფალსიფიკაციის დონე 95 პროცენტს აღწევდა. 1995 წელს GG&MW-მ მხოლოდ 5 მილიონი ბოთლი "ბორჯომის" ჩამოსხმა მოახერხა.

სწორი მენეჯმენტის პირობებში დღემდე ეს ციფრი 40-ჯერ გაიზარდა. წელს კომპანიამ, წინასწარი გათვლებით, 217 მილიონი ბოთლი უნდა აწარმოოს. წარმოების ასეთი ტემპით ზრდა კი, ძირითადად, იმან განაპირობა, რომ "ბორჯომზე" მოთხოვნა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე თითქმის ყოველთვე იზრდება.

2004 წელს GG&MW-ს სახით საქართველოში პირველი ტრანსნაციონალური კომპანია ყალიბდება. გასული წლის მიწურულს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ ორ წამყვან უკრაინულ საწარმოსთან "მორშინსკის მინერალური წყლების ქარხანასა" და შპს "სამრეწველო სადისტრიბუციო სისტემასთან" გააფორმა კონტრაქტი (ცნობისათვის, ეს უკანასკნელი უკრაინული ბაზრის 20 პროცენტზე მეტს აკონტროლებს).

უკრაინული კომპანიების შემოერთების შემდეგ GG&MW პოსტსაბჭოთა სივრცეში ბუნებრივი მინერალური წყლების უმსხვილესი დამოუკიდებელი მწარმოებლი გახდა, რომლის წლიური წარმოება დღეს 400 მილიონ ბოთლს აღწევს. **"ეს კონსოლიდაცია საშუალებას აძლევს ჩვენს ჰოლდინგს, მოახდინოს ფასების ლავირება, რაც, თავის მხრივ, ეხმარება კომპანიას, იყოს უფრო მოქნილი სხვადასხვა ბაზრებზე,"** - აღნიშნა GG&MW-ის გენერალურმა დირექტორმა ზაზა კიკვაძემ.

ცოტა ხნის წინ ბორჯომის ჩამოსასხმელ ქარხნებში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა. სულ ახლახან დასრულდა №2 ქარხნის რეკონსტრუქციაც; როგორც კომპანიაში აცხადებენ, სრული დატვირთვით მიმდინარეობს №1 ქარხნის რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც მისი სიმძლავრე გაორმაგდება. სარემონტო სამუშაოებს 30 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია დასჭირდება.

"ბორჯომს" 28 ქვეყანაში სვამენ

ჯერ ძალიან გამიკვირდა, მერე კი გამიხარდა, როცა ერთმა ჩემმა კორეელმა კოლეგამ საქართველოზე საუბრის დროს "ბორჯომი" ახსენა. როგორც მან მითხრა, "ბორჯომს" უკვე კორეაშიც სვამენ. ამბობს, რომ ძალიან მოსწონთ. იმდენად, რომ კორეელებმა მშობლიურ ენაზე "ბორჯომის" ვებგვერდიც კი შექმნეს.

კორეა 28 სახელმწიფოს შორის ერთ-ერთია, სადაც "ბორჯომს" სიამოვნებით მიირთმევენ. ისრაელი, აშშ, გერმანია, ინგლისი, ავსტრალია, რუსეთი, უკრაინა, აზებაიჯანი, ყაზახეთი - ეს მხოლოდ ერთი ნაწილია იმ ქვეყნებისა, სადაც "ბორჯომს" გემო დიდი ხნის წინ გაუსინჯეს. მათ შორის ყველაზე მეტი გაყიდვები რუსეთზე მოდის. ეს, ალბათ, ბუნებრივიც არის. GG&MW-ის ექსპორტირებული პროდუქციის დაახლოებით 60 პროცენტი რუსეთში იყიდება.

რუსეთის შემდეგ "ბორჯომი" ყველაზე პოპულარული უკრაინაში გახდა. წელს აქ 11 მილიონი ლიტრი "ბორჯომი" გაიყიდა. GG&MW-ის უკრაინელი პარტნიორები დარწმუნებულები არიან, რომ მომავალ წელს ქართველებზე მეტ "ბორჯომს" უკრაინელები დალევენ.

რა იქნება 2006 წელს?

წარმოების 40 პროცენტით გაზრდა და საერთაშორისო ბაზარზე პოზიციების გამყარება-გაფართოება - ეს კომპანიის უახლოესი ერთი წლის გეგმებია. გარდა ამისა, შემდგომი ორი წლის განმავლობაში "მინისა და მინერალური წყლების კომპანია" საქართველოსა და უკრაინაში წარმოების გსაფართოებლად 35 მილიონი ევროს ინვესტირებას აპირებს. ეს კი GG&MW-ს უკრაინის ბაზრის 30 პროცენტის გაკონტროლების საშუალებას და წელიწადში, მინიმუმ, 40-პროცენტიან ზრდას მისცემს.

მომავალ წელს კომპანია კვლავაც განაგრძობს ინტენსიურ შიდა განვითარებას და დსთ-ს და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში შესყიდვების სტრატეგიას. ეს ის სტრატეგიაა, რაც, კომპანიის ხელმძღვანელთა რწმუნებით, GG&MW-ს მომდევნო სამი წლის მანძილზე წარმოების სამჯერ გაზრდასა და რეალიზაციაში დაეხმარება.

გაყიდვები და, შესაბამისად, წარმოება მომავალ წელს კიდევ უფრო გაიზრდება. გაისად კომპანია დაახლოებით 300 მილიონი ბოთლის ჩამოსხმას გეგმავს.

კიდევ ერთი სიახლე, რომელსაც კომპანია მომავალ წელს ქართველ მომხმარებელს შესთავაზებს - ეს ახალი სერვისი და ახალი პროდუქტია. გაზაფხულიდან ბორჯომის წყაროს წყალი უკვე 20-ლიტრიან ბოთლებში ჩამოისხმება და მომხმარებელს მისი სახლში ან ოფისში მიღების საშუალება ექნება. **"მას, ვინც ამ სერვისის მომხმარებელი გახდება, ჩვენი კომპანიისგან საჩუქრად გადაეცემა წყლის ჩამოსასხმელი სპეციალური დანადგარი, რომელსაც წყლის გაციება-გაცხელების ფუნქციაც ექნება,"** - **გვითხრა ზაზა კიკვაძემ.**



"Impartial, Informative, Insightful"
The Messenger
Georgia's English Language Daily
Tel.: 93 91 69
ინფორმაციის წყაროდ

ტაში ამ სექსუალურ ფეხბურთს, ტაში!

იმ კაცმა ალბათ შუადღისკენ გაიღვიძა, რადგან შაბათი იყო და პარასკევს ხომ მთელი ცივილიზაცია გულაობს. გაიპარსა, შვილს ხელი დაავლო, საყვარელი გუნდის შარფი კისერზე გადაიკიდა და სტადიონზე წავიდა.

თამაშის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე იგი ფეხზე იდგა და ტაშს უკრავდა.

ტაშს უკრავდა მთელი "სანტიაგო ბერნაბეუ"!

ეს სტადიონი ნახევარი საუკუნის წინ აშენდა და მასზე იმდენჯერ დაკრულა ტაში, მიმიქარავს "ლა სკალა" და "კარნეგი ჰოლი", მაგრამ ეს ცოტა ორიგინალური აპლოდისმენტები გახლდათ - "სანტიაგო ბერნაბეუ" სხვა კლუბს ეფერებოდა.

მადრიდი "ბარსელონას" წამოუდგა ფეხზე.

"ბარსელონა" კი "სხვა კლუბი" არაა. "ბარსელონა" მტერია.

ის კაცი არ შემცოდებია. პირიქით, სიმპათიები გამიჩნდა, რადგანაც ეს იყო ფეხბურთის აზრზე ყოფნის იდეალური მაგალითი. სხვანაირად არ შეიძლებოდა. არ შეიძლება აგინო ამ საფეხბურთო სექსუალურობას. არ შეიძლება ბოთლი ესროლო რონალდინიოს.

რონალდინიო...

რა კარგია, რომ ის ჯერ ახალგაზრდა კაცია, ყველაფერი წინ აქვს და აქედან გამომდინარე, ჩვენც ყველაფერი წინ გვაქვს. "ოქროს ბურთი" მაგას ეკუთვნისო? გავიგე რამდენჯერმე დაბოღმილი კითხვა. აბა, მე მეკუთვნის?

მოვა დრო, ამ ბიჭს "ოქროს ბურთს" კი არ მისცემენ, გვირგვინს დაადგამენ თავზე. არ ეკუთვნის? ჯერ არა? მართალია, ჯერ ადრეა, მაგრამ მოვა დრო. აუცილებლად მოვა.

ყველას, ვისაც ფეხბურთზე მზე და მთვარე ამოგდით, გილოცავთ იმას, რომ ჩვენ *ამ* "ბარსელონას" მოვესწარით. პირადად მე 25 წელიწადია ბურთის გარშემო ვტრიალებ და ასეთი სილამაზე იშვიათად მინახავს. პრინციპში, არც მახსენდება, რომელიმე გუნდი ან ფეხბურთელი ასეთ ემოციებს იწვევდეს.

სამივე გოლი შედევრი იყო. სამუელ ეტო'ომ დაამტკიცა, რომ ანრი, ანდრიუხა და ის. რონალდინიომ, რომ მხოლოდ ის. მესიმ, რომ მომავალი მისია. მთლიანად "ბარსელონამ" კი ის, რომ დღეს საუკეთესოა.

"ჩელსი" ნახაზია.

ნახაზია "იუვენტუსიც".

"ბაიერნიც."

"ბარსა" კი ნახატია და, ჩემო გიო, მგონი დროა ლუვრში დავკიდოთ. ჩვენი გონების ლუვრში.

უკვე დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ რონალდინიო პელე-მარადონა-პლატინი-კრუიფი-ზიდანის გაგრძელებაა. იმაზეც, რომ პელე და მარადონა ორნი აღარ არიან. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ჯერ ადრეა. არ შეიძლება ზემოხსენებულ ჯიგრებს გვერდში დაუდგე ორი ზღაპრული სეზონით. ამ ვიპ-ლოჟაში თავის შესაყოფად ბევრი რამაა კიდევ დასამტკიცებელი და გასაკეთებელი. პოტენცია? პოტენცია - იცოცხლე, მაგრამ სხვაა ვარაუდი და სხვა - რეალობა. თუმცა ფაქტია ისიც, რომ ეს ბიჭი ძალიან სწრაფი და ლამაზ-ლამაზი ნაბიჯებით მიქრის მეფეებისკენ.

რაც შეეხება "რეალს", ეს არ არის გუნდი და მას არ ჰყავს მწვრთნელი. ემოციებს აყოლილი არ ვარ და მხოლოდ "კლასიკოთი" არ ვმსჯელობ. მადრიდელებს საერთოდ არ ეტყობათ მცოდნე კაცის ხელი. ზიდანი დაბერდა, რონალდო გასუქდა, რობინიო სულ უფრო ემსგავსება დენილსონს, რომელმაც ევროპაში ჩამოსვლიდან რამდენიმე დღეში დაიჩივლა, ეს რა ტემპია, თავის აწევას ვერ ვასწრებო, ბექჰემი ძველებურად სიმპატიჩნია, ბაპტიშტა კომპიუტერული თამაშის ბოროტ გმირს ჰგავს, რაული არასდროს მიმაჩნდა იმად, რაც მისგან გამოძერწეს და შემოგვთავაზეს.

ამ "რეალის" დრო წავიდა. წმინდა სოკერ-თვალსაზრისით, თორემ ფინანსურ-სარეკლამო ამბავში მაინც მაგარ მოგებას ტოვებს. თუ დონ ფლორენტინო პერესს იმთავითვე ამ გზით ჰქონდა განზრახული მაყუთის შოვნა, თავის გზაზე გაუმარჯოს, მაგრამ ეს ფეხბურთია და არა სტრიპტიზ-შოუ.

ისევ "ბარსელონას" უნდა დავუბრუნდე. ნელ-ნელა ცხადდება, რომ მსოფლიო ქოუჩ-ელიტას ახალი წევრი შეემატა. რინუს მიხელისსა და არიგო საკის მოწაფე ფრენკ რაიკაარდი მარტო ფეხბურთელობისას არ ყოფილა ნიჭიერი შეგირდი. ევროპის ბოლოსწინა პირველობაზე არ გაუმართლა. ისევე, როგორც შარშან, როცა ნახევარი "ბარსელონა" საავადმყოფოში იწვა და ერთი შემადგენლობით მიაღწია ქვეყნის ჩემპიონობას.

ახლა კი რაიკაარდს შესანიშნავი შანსი აქვს მოიგოს ყველაფერი, რაც მოსაგებია. ბუნებრივია, მისი გუნდი მთელ სეზონს ამ ხარისხით ვერ გაქაჩავს, შეიძლება მურტალი ჩავარდნაც ჰქონდეს. ამიტომ სიფრთხილეა საჭირო. ფსიქოლოგიური სიფრთხილე.

სხვა რა გითხრათ. დაველოდოთ საპასუხო "კლასიკოს", რომელზეც მე აუცილებლად უნდა მოვხვდე. კაცმა ეს "ბარსელონა" თუ არ ნახა ცოცხლად, მაშინ, აბა, რაღა უნდა ნახოს.

მომავალ სამშაბათამდე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ 2005 წლის 7 ოქტომბერს, ჟურნალების, სტატბარათებისა და საქმის წარმოების ყდების შეძენის თაობაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში გაიმარჯვა შ.პ.ს. "პოლიგრაფ თბილისმა".

სატენდერო კომისიის განცხადება

1. საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის 21.11.2005წლის N38 სხდომის ოქმის თანახმად, საქართველოს პარლამენტის 2005წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესაბამისად, მაღალი გამავლობის (ჯიპის ტიპი) ავტომობილის (2005 წელს გამოშვებული, მწარმოებელი ქარხნის გარანტიით, საგარანტიო მომსახურების პერიოდში უფასო დიაგნოსტიკა, 5-კარი, 7-ადგილი, 8-ცილინდრიანი ბენზინის ძრავი არანაკლებ 5,5-ლიტრი და 300-ცხენის ძალა, უსაფრთხოების ბალიშების სრული პაკეტი წინა და უკანა მგზავრებისთვის, ავტომობილის დინამიური კონტროლი, მუზრუჭების ელ. განაწილება, უკანა პარკინგის სენსორი, უკანა ხედვის მონიტორი, აბს) შესყიდვაზე პარლამენტი აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2005წლის 7 დეკემბრის 1000სთ-დან 8 დეკემბრის 1600სთ-მდე**, საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლით, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის 8 (დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: **932509 ზაურ ჯიოშვილი**).

3. დაინტერესებული პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს, რომ:

3.1 **იურიდიული პირისთვის:**

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებლო წარმოება (ცნობა სააღსრულებლო ბიუროდან);

დ) მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ვ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ზ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

3.2 **ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

დ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებლო წარმოება (ცნობა სააღსრულებლო ბიუროდან);

ე) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ზ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

თ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

4. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტი იხდის სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, რომელიც უნდა გადაიხადოს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადის გასვლამდე (სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა **2005წლის 14 დეკემბრის 1000-დან 16 დეკემბრის 1600-მდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8, სატენდერო კომისიის აპარატი) საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000141408 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

6. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. ავტომობილის მოწოდების სავალდებულო ვადაა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება კონკურსის შესახებ

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს კონკურსს სამინისტროს სამთავრობო ვებ-გვერდის დიზაინის შემუშავებისათვის და შესყიდვის განხორციელების მიზნით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

ვებ-გვერდის პირველადი პროექტი და სავარაუდო ხარჯთანუსხა სამინისტროს უნდა მიეწოდოს 2005 წლის 25 ნოემბრის 15 საათამდე.

პროექტი წარმოდგენილ უნდა იქნეს მაკეტის სახით ელექტრონული ვერსიით.

ვებ-გვერდის სტრუქტურისა და სხვა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ საგარეო საქმეთა სამინისტროს, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. N4. ოთახი 118, ტელ: 28-48-78; 28-48-17; 899710001; 877550001.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქ. თბილისის მერია აცხადებს ღია არქიტექტურულ შემოქმედებით კონკურსს **გმირთა მოედნიდან თამარაშვილის ქუჩამდე მდ. ვერეს ხეობის ტერიტორიული მოწესრიგებისა და რეკრეაციული ზონის მოწყობის პროექტზე**.

კონკურსის მონაწილეთა რეგისტრაცია, საკონკურსო ''პროგრამისა და პირობების" და ამოსავალი მასალის გაცემა მიმდინარეობს ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში 2005 წლის 24 ნოემბრის 1200 სთ-დან 30 ნოემბრის 1700 სთ-მდე.

კონკურსთან დაკავშირებულ კითხვებზე უპასუხებს კონკურსის პასუხისმგებელი მდივანი ალექსანდრე ჯობავა; ტელ. 96-91-26; ფაქსი: 95-00-77; მობილური ტელ.: 899 98-44-45.

კონკურსის ორგანიზატორები

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი .....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გზეთი "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩაგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გზეთიდან ამოჭრილი ქვითრები, ფოტოასლები არ განიხილება).

ამჟამად განთავსებულია ალბომ თბილისში მეტროს ძველი ჩამოთვლილ სადგურსა და შემდეგ მიმდინარეობს:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ტალინი);
2. მეტროს სადგური "ბარგანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "საბურთალო II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "ბოგერიოს II". (ყოფილი მეტროს სადგური "ფელიცი");
8. მეტროს სადგური "ვაჟა-ფშაველა I";
9. მეტროს სადგური "ფიფუნე";
10. ვიდეოფესტივალს 45 "სოფლურის" შენობის I-ლი სართული გზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარს, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოიგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

TELIANI VALLEY ნარკომანიის წინააღმდეგ

საქართველოს გენერალური პროკურატურა აცხადებს სტაჟიორთა მიღების კონკურსს

"საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ" (სსმ N146, ნაწილი III, მუხლი 1326, 10.12.04) საქართველოს გენერალური პროკურორის 2004 წლის 10 დეკემბრის N7 ბრძანებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, საქართველოს გენერალური პროკურატურა აცხადებს საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორთა მიღების კონკურსს.

სტაჟიორთა კონკურსი მიზნად ისახავს პროკურატურის სისტემაში ახალი კადრების მოზიდვას. კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად. პირველი ორი ეტაპი ჩატარდება ტესტირების ფორმით, რომელთა წარმატებით გავლის შემთხვევაში კონკურსანტებს ჩაუტარდებათ გასაუბრება. კონკურსში გამარჯვებულები გაივლიან ერთ წლამდე სტაჟირებას საქართველოს პროკურატურაში, რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში დაინიშნებიან პროკურატურის ორგანოებში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება და რეგისტრაცია დაიწყება 2005 წლის 21 ნოემბრიდან და გაგრძელდება 5 დეკემბრის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 17 სთ-მდე.

სტაჟიორთა კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საქართველოს პროკურატურის სტაჟირების გავლის კომისიის სამდივნოში (მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N24) უნდა წარმოადგინოს:

1. წერილობითი განცხადება;
2. მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი და საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის მოწმობების ასლები;
3. ავტობიოგრაფია (ნაბეჭდი ფორმით);
4. დიპლომის ასლი, ნიშნების ფურცელთან ერთად;
5. ორი რეკომენდაცია;
6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
7. ორი ფერადი ფოტოსურათი (3/4);
8. სერტიფიკატის ასლი პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორთა რაოდენობა განსაზღვრულია 200 ერთეულით, შემდეგი პროკურატურების მიხედვით:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურა;
2. აჭარის ა/რ პროკურატურა;
3. ქ. თბილისის პროკურატურა;
4. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა;
5. მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურა;
6. კახეთის საოლქო პროკურატურა;
7. შიდა ქართლის საოლქო პროკურატურა;
8. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა;
9. სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა;
10. სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა;
12. ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურა;
13. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურა;
14. გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურა;
15. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული პროკურატურა;
16. ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურა;
17. ქუთაისის რაიონული პროკურატურა;
18. ზესტაფონის რაიონული პროკურატურა;
19. სამტრედიის რაიონული პროკურატურა;
20. ოზურგეთის რაიონული პროკურატურა;
21. მცხეთის რაიონული პროკურატურა;
22. დუშეთის რაიონული პროკურატურა;
23. მარნეულის რაიონული პროკურატურა;
24. ახალციხის რაიონული პროკურატურა;
25. ზუგდიდის რაიონული პროკურატურა;
26. ამბროლაურის რაიონული პროკურატურა;
27. ცაგერის რაიონული პროკურატურა;
28. ბათუმის რაიონული პროკურატურა.

წერილობითი კონკურსის (ტესტირების) პირველი ეტაპი ჩატარდება ზოგადი უნარების ტესტებში, კონკურსის გამოცხადებიდან არაუადრეს სამი კვირისა, ხოლო ტესტირების მეორე ეტაპი სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში, პირველი ეტაპის ჩატარდებიდან ერთ კვირაში.

კონკურსის მესამე ეტაპის (გასაუბრების) ჩატარების დრო და ადგილი გამოქვეყნდება წერილობითი კონკურსის მეორე ეტაპის ჩატარებიდან გონივრულ ვადაში.

წერილობითი ეტაპების ჩატარებამდე ორი დღით ადრე, ტესტირებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების დაზუსტების მიზნით, სტაჟიორობის კანდიდატი უნდა დაუკავშირდეს საქართველოს პროკურატურის სტაჟირების გავლის კომისიის სამდივნოს, შემდეგ საკონტაქტო ტელეფონებზე: **98-35-62, 94-33-11, 99-59-89 ან მობილური - 8 (77) 71-29-56.**

ტესტირების პირველ ეტაპზე დასაშვებად სტაჟიორობის კანდიდატმა თან უნდა იქონიოს საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

ტესტირების პირველ ეტაპზე, სტაჟიორობის კანდიდატმა დადებითი შეფასების მისაღებად სწორად უნდა უპასუხოს შეთავაზებული ზოგადი უნარების ტესტების 70 %-ს.

იმ შემთხვევაში, თუ სტაჟიორობის კანდიდატი ტესტირების პირველ ეტაპს ვერ გადალახავს, მეორე ეტაპზე არ დაიშვება.

ტესტირების მეორე ეტაპზე სტაჟიორობის კანდიდატმა დადებითი შეფასების მისაღებად სწორად უნდა უპასუხოს შეთავაზებული (სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში) ტესტების 75 %-ს.

ტესტირების მეორე ეტაპის წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტაჟიორობის კანდიდატთათვის დასაკავებელი თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებისათვის შედგება გასაუბრება.

სტაჟიორს, საქართველოს პროკურატურის სტაჟირების გავლის კომისიის თავმჯდომარე განუსაზღვრავს სტაჟირების გავლის ინდივიდუალურ პროგრამას.

სტაჟიორს სტაჟირების პერიოდში მიეცემა ანაზღაურება.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, გენერალური პროკურორის ბრძანებით სტაჟიორს შეიძლება ვადაზე ადრე (მაგრამ არაუადრეს 6 თვისა) მოეხსნას სტაჟირება და დაინიშნოს საქართველოს პროკურატურის ორგანოებში ვაკანტურ თანამდებობაზე.

სტაჟირების საერთო ვადის გასვლის შემდეგ, სტაჟიორები, რომლებიც წარმატებით გაივლიან სტაჟირებას, ჩაირიცხებიან საქართველოს პროკურატურის რეზერვში.

პროკურატურის ორგანოებში ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში, რეზერვში ჩარიცხული პირის თანხმობით, კომისიის თავმჯდომარე გენერალურ პროკურორს წარუდგენს რეზერვში ჩარიცხულ იმ პირთა მონაცემებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის მოთხოვნებს. გენერალური პროკურორის მიერ კანდიდატის მოწონების შემთხვევაში რეზერვში ჩარიცხული პირი ინიშნება ვაკანტურ თანამდებობაზე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N24 (ტელეფონები - 98 35 62, 94 33 11, 99 59 89 ან მობილური - 8 (77) 71 29 56).

საქართველოს პროკურატურის სტაჟიორთა კონკურსის პირველი ეტაპის (ტესტირების) პროგრამა

ზოგადი უნარების ტესტებსა და პიროვნების საკვლევ კითხვარებში ზოგადი უნარების ტესტი

ინსტრუქცია

ტესტი შედგება ორი - ვერბალური და მათემატიკური - ნაწილისგან და 80 დავალებას შეიცავს. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

ყურადღებით წაიკითხეთ დავალებათა ინსტრუქციები, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ თითოეულ დავალებაში, და შემდეგ აირჩიეთ პასუხი.

არჩეული პასუხი აუცილებლად მონიშნეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც ახლავს ტესტს.

პასუხის მონიშვნისას:

- პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი

- ნომრის ქვეშ იპოვეთ უჯრა, რომელიც თქვენ მიერ არჩეულ პასუხს შეესაბამება

- დასვით X ნიშანი ამ უჯრაში

თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი, და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში).

თუ არ გაქვთ რომელიმე დავალების პასუხი, დროს ნუ დაკარგავთ და გადადით შემდეგ დავალებაზე.

ჩანაწერების ან ნახაზებისთვის გამოიყენეთ მხოლოდ და მხოლოდ ტესტის ფურცლებზე არსებული ცარიელი ადგილები.

წერილობითი კონკურსის პირველ ეტაპში მონაწილე პირმა დადებითი შეფასების მისაღებად სწორად უნდა უპასუხოს შეთავაზებული ზოგადი უნარების ტესტების 70 %-ს მაინც.

ტესტებზე სამუშაოდ განკუთვნილია 3 საათი და 10 წუთი, აქედან 2 საათი და 40 წუთი ზოგადი უნარების ტესტებისათვის, ხოლო 30 წუთი პიროვნების საკვლევი კითხვარებისათვის.

ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოყოფილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. შეარჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც მიმართება სიტყვათა მნიშვნელობებს შორის გამუქებულ სიტყვათა ურთიერთმიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

მაგალითად: ***კენჭი : ქვა***

(ა) ველოსიპედი : მანქანა

(ბ) ბილიკი : გზა

(გ) ოთახი : ბინა

(დ) ფოთოლი : ბუჩქი

სწორი პასუხია (ბ), რადგან მიმართება - "ბილიკი არის მომცრო გზა" მსგავსია მიმართებისა - "კენჭი არის მომცრო ქვა".

ნიმუში

1. ნაკვერჩხალი : ცხელი

(ა) ლიმონი : მჟავე

(ბ) ღრუბელი : ქათქათა

(გ) ლოკოკინა : სწრაფი

(დ) მიწისძვრა : დანგრეული

წინადადების შევსება

მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული.

გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი - რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველი ვარიანტი შეიცავს სიტყვათა ჯგუფს, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამოყოფილი. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

ნიმუში

1. ლიტერატურული ნაწარმოები ----- იმ სინამდვილეს, რომელშიც იგი იქმნება, ----- ის არ ----- მას -----.

(ა) დოკუმენტურად აღწერს / იმდენად, რამდენადაც / ასახავს / დეტალურად

(ბ) აკრიტიკებს / მაშინაც კი, როცა / ამართლებს / სრულად

(გ) ამახინჯებს / მიუხედავად ამისა / აღწერს / სარწმუნოდ

(დ) უკავშირდება / მაგრამ / ასახავს / რეალისტურად

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების მიხედვით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

ნიმუში

1. დავუშვათ, რომ სასამართლოში განიხილება რამდენიმე ეჭვმიტანილის საქმე.

- ბრალმდებელი ამტკიცებს, რომ ყველა ეჭვმიტანილი დამნაშავეა

- დამცველი ამტკიცებს, რომ არც ერთი ეჭვმიტანილი არ არის დამნაშავე

ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია ***შეუძლებელი****?*

(ა) არ არის მართალი არც ერთი - არც ბრალმდებელი და არც დამცველი

(ბ) ბრალმდებელი არ არის მართალი, ხოლო დამცველი მართალს ამბობს

(გ) ბრალმდებელი მართალია, დამცველი ტყუის

(დ) ორივე მართალია - ბრალმდებელიც და დამცველიც

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ნიმუში

ინგლისელი მათემატიკოსის, ფიზიკოსისა და ასტრონომის - ისააკ ნიუტონის - მრავალი ნაშრომიდან აღსანიშნავია "სინათლისა და ფერების ახალი თეორია", "ოპტიკა" და "ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური პრინციპები" .

პრობლემები, რომლებიც ნიუტონს აინტერესებდა და შემდეგში წარმატებით გადაწყვიტა, ბუნებისმეტყველებაში უკვე ცნობილი იყო. ახალგაზრდა ნიუტონი გაეცნო როგორც ძველი, ისე ახალი დროის ავტორების შრომებს. კეპლერის ნაშრომმა ("დიოპტიკამ") მასზე განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა. ცოდნით შეიარაღებული ნიუტონი დამოუკიდებელ გზას გაჰყვა და უკვე სტუდენტობის წლებში ბინომის ზოგადი თეორია ჩამოაყალიბა. მოგვიანებით კი სწორედ მან დაადგინა მექანიკის ძირითადი კანონები.

პირველ პერიოდში ნიუტონი ბევრს მუშაობდა ოპტიკის საკითხებზე. მან ახალი ტიპის ტელესკოპი შექმნა, რომლის საშუალებით შესაძლებელი იყო იუპიტერის თანამგზავრებსა და ვენერას ფაზებზე დაკვირვება. ამასთან ერთად, ნიუტონი მუშაობდა სინათლის თეორიის პრობლემებზეც. მას მიაჩნდა, რომ სინათლე განათებული სხეულიდან მცირე ნაწილაკების სახით გამოიფრქვევა. აღსანიშნავია, რომ ამ მოსაზრებას არ იზიარებდა ჰოლანდიელი მეცნიერის - ჰიუგენსის - მიმდევარი რობერტ ჰუკი. ჰუკი, ნიუტონისგან განსხვავებით, სინათლის ტალღურ ბუნებას აღიარებდა.

იმჟამად ფერების თეორიაში გაბატონებული იყო მოძღვრება, რომელიც ჯერ კიდევ არისტოტელედან მომდინარეობდა. ამ მოძღვრების თანახმად, ფერთა განსხვავებას სინათლისა და სიბნელის ერთმანეთთან გარკვეული რაოდენობით შეერთება იწვევს. ნიუტონმა კი კვლევის შედეგად დაადგინა, რომ სინათლის თეთრი სხივი, გატარებული სამწახნაგოვან პრიზმაში, განსხვავებული ფერის სხივებად იშლება; ხოლო ეს უკანასკნელნი, ხელახლა გატარებული პრიზმაში, აღარ დაიშლება და ამიტომ მარტივ ფერებს წარმოადგენს. და - პირიქით: ამ განსხვავებულ ფერთა სხივების შეერთებისას თეთრი სხივი მიიღება. სწორედ ეს აღმოჩენა დაედო საფუძვლად სპექტრულ ანალიზს.

ისააკ ნიუტონი ჯერ კიდევ 1666 წელს ცდილობდა, მექანიკის კანონების საფუძველზე აეხსნა ციური სხეულების მოძრაობა. მისი თეორია არსებითად გასაროლილი სხეულის ტრაექტორიის შესახებ გალილეო გალილეის მიერ გამოთქმული აზრის განვითარებას წარმოადგენდა. მაშინ ნიუტონს ჯერ არ ჰქონდა ცნობა დედამიწის ზუსტი სიდიდის შესახებ. ეს სიდიდე მხოლოდ 1682 წელს დაადგინა ფრანგმა მეცნიერმა პიკარმა. პიკარის შედეგს კი უმალვე მოჰყვა ნიუტონის ნაყოფიერი მუშაობა, რაც საბოლოოდ იმით დაგვირგვინდა, რომ მან აღმოაჩინა ბუნების კანონთა კვლევაში თავისი მნიშვნელობით გამორჩეული - მსოფლიო მიზიდულობის კანონი.

1. ნიუტონის ცხოვრების რომელ სფეროს ასახავს ძირითადად ტექსტი?

(ა) ნიუტონის წვლილს ბუნებისმეტყველების განვითარებაში

(ბ) ნიუტონის ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას

(გ) ისააკ ნიუტონის ურთიერთობას მეგობართა წრესთან

(დ) ისააკ ნიუტონის სამეცნიერო წოდებებს

2. ტექსტში აღნიშნულია ნიუტონის თვალსაზრისთა მიმართება სხვა მეცნიერთა შეხედულებებთან.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეფასებაა მართებული?

(ა) ნიუტონის ყველა დებულება ბუნებრივად აგრძელებდა და აღრმავებდა წინამორბედთა შეხედულებებს

(ბ) ნიუტონმა თავისი დებულებები ჩამოაყალიბა სრულიად დამოუკიდებლად, სხვა მეცნიერთა თვალსაზრისების გათვალისწინების გარეშე

(გ) ნიუტონის ყველა დებულება უარყოფდა წინამორბედ მეცნიერთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს

(დ) ნიუტონის ზოგი დებულება რადიკალურად უპირისპირდებოდა წინამორბედთა აზრს, ზოგი კი უკვე გამოთქმულ მოსაზრებებს ავითარებდა

3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს სწორად ნიუტონისა და ჰუკის მოსაზრებებს შორის არსებულ განსხვავებას?

(ა) ჰუკისგან განსხვავებით, ოპტიკის საკითხებს ნიუტონი სინათლის თავისებურებებზე დაკვირვებით შეისწავლიდა

(ბ) ჰუკის აზრით, ნიუტონი ხელსაწყოებს იყენებდა ბუნების იმ მოვლენების შესასწავლად, რომლებზედაც უშუალო (შეუიარაღებელი თვალით) დაკვირვებაც კი საკმარისი იყო

(გ) ნიუტონი, ჰუკის შეხედულების საპირისპიროდ, მიიჩნევდა, რომ სინათლე ნაწილაკების სახით გამოსხივდება

(დ) ჰუკის აზრით, ნიუტონის მიერ ციურ სხეულებზე დაკვირვებით მოპოვებული ცოდნა მექანიკურად ვრცელდებოდა ოპტიკურ მოვლენებზეც

4. ტექსტის რომელ მონაკვეთს შეარჩევთ იმის დასასაბუთებლად, რომ ნიუტონის მოღვაწეობა მხოლოდ თეორიული ხასიათისა არ იყო, იგი ცდას - პრაქტიკულ საქმიანობას - შეიცავდა?

(ა) იმ მონაკვეთს, რომელშიც აღნიშნულია მის მიერ მექანიკის ძირითადი კანონების დადგენა

(ბ) პირველ აბზაცს, რომელშიც დასახელებულია ისააკ ნიუტონის ნაშრომები

(გ) იმ მონაკვეთს, რომელშიც საუბარია სინათლის თეთრი სხივის დაშლისა და მარტივი ფერების შესახებ

(დ) იმ მონაკვეთს, რომელშიც საუბარია დედამიწის ზუსტი სიდიდის დადგენის შესახებ

5. რა იყო ნიუტონის მიერ ფერების თეორიაში შემოტანილი ძირეული ხასიათის ცვლილება, სიახლე?

(ა) ნიუტონმა ექსპერიმენტის მეშვეობით დაამტკიცა არისტოტელეს შეხედულების მართებულობა

(ბ) ექსპერიმენტული კვლევის შედეგად ნიუტონმა აღმოაჩინა თეთრი ფერის სინათლის სხივის არსებობა

(გ) ნიუტონმა ექსპერიმენტის მეშვეობით დაამტკიცა, რომ მარტივი ფერების შეერთებით თეთრი ფერი მიიღება

(დ) ნიუტონმა ექსპერიმენტით დაამტკიცა, რომ თეთრი სხივის გარდა სინათლის სხვა ფერის სხივებიც არსებობს

6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნიუტონის მიერ მიღებული რომელი შედეგის განსაკუთრებულ ღირებულებას აღნიშნავს ავტორი?

(ა) ბინომის ზოგადი თეორიის ჩამოყალიბებას

(ბ) ახალი ტიპის ტელესკოპის შექმნას

(გ) სინათლის სხივთან დაკავშირებულ აღმოჩენას

(დ) მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოჩენას

7. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელმა მოვლენამ შეუწყო ხელი ნიუტონს, რომ საბოლოოდ ჩამოეყალიბებინა მსოფლიო მიზიდულობის კანონი?

(ა) გასროლილი სხეულის ტრაექტორიის დადგენამ

(ბ) დედამიწის ზუსტი სიდიდის განსაზღვრამ

(გ) ციური სხეულების მოძრაობის ფაზების დადგენამ

(დ) ფერთა დაშლის კანონის აღმოჩენამ

8. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება გამოხატავს ტექსტის ავტორის პოზიციას?

(ა) ნიუტონის თეორიები წინამორბედ მეცნიერთა მოსაზრებების მართებულობას ადასტურებდა

(ბ) ნიუტონის მოღვაწეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველი პერიოდი

(გ) ნიუტონის დიდ მიღწევებს ნიადაგი წინამორბედთა მიერ ჰქონდა შემზადებული

(დ) ნიუტონის მიღწევებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი ტიპის ტელესკოპის შექმნა

9. რა არის მოცემული ტექსტის დანიშნულება, ძირითადი მიზანი?

(ა) ისააკ ნიუტონის ნაშრომების გაცნობა და ანალიზი

(ბ) ნიუტონისა და მის წინამორბედ მეცნიერთა დებულებების შედარება

(გ) ისააკ ნიუტონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა

(დ) ნიუტონის სამეცნიერო ინტერესის სფეროებისა და მნიშვნელოვანი მიღწევების გაცნობა

მათემატიკური ნაწილი

ნიმუშები

1. თბილისის დროსა და ლონდონის დროს შორის განსხვავება 3 საათია. როცა თბილისში 15 საათია, ლონდონში ამ დროს 12 საათია. ლონდონიდან თბილისში გამოფრინდა თვითმფრინავი ლონდონის დროით 19 საათზე. რომელ საათზე ჩამოფრინდება თვითმფრინავი თბილისში (თბილისის დროით), თუ ფრენას სჭირდება 5 საათი?

(ა) 20 საათზე

(ბ) 24 საათზე

(გ) დილის 3 საათზე

(დ) დილის 5 საათზე

2. კახამ 69 ცალი ფანქარი ერთნაირ კოლოფებში ჩააწყო. ერთ კოლოფში მხოლოდ 10 ცალი ფანქარი ეტევა. სულ ცოტა რამდენი კოლოფი დასჭირდა კახას ფანქრების ჩასაწყობად?

(ა) 6

(ბ) 7

(გ) 8

(დ) 9

3. საჭადრაკო ტურნირში 5 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ყოველმა მოჭადრაკემ თითო პარტია ითამაშა თითოეულ სხვა მოჭადრაკესთან. სულ რამდენი საჭადრაკო პარტია გათამაშებულა ამ ტურნირზე?

(ა) 5

(ბ) 8

(გ) 10

(დ) 20

4. K წერტილი ABCD მართკუთხედის BC გვერდის შუა წერტილია. რამდენჯერ მეტია ABCD მართკუთხედის ფართობი KDC სამკუთხედის ფართობზე?



(ა) 2-ჯერ

(ბ) 3-ჯერ

(გ) 4-ჯერ

(დ) 6-ჯერ

5. ა, ბ და c ისეთი რიცხვებია, რომ c ნაკლებია ა-ზე 9-ჯერ, ხოლო ბ მეტია c-ზე 3-ჯერ. რომელი რიცხვია უფრო მეტი, ა თუ ბ, და რამდენჯერ?

(ა) ა მეტია ბ-ზე 3-ჯერ

(ბ) ა მეტია ბ-ზე 6-ჯერ

(გ) ა ნაკლებია ბ-ზე 3-ჯერ

(დ) ა ნაკლებია ბ-ზე 6-ჯერ

დანართი

დავალებათა პასუხები

ვერბალური ნაწილი

ანალოგიები: **1.** (ა) წინადადების შევსება: **1.** (დ) ლოგიკა: **1.** (დ)

წაკითხული ტექსტის გააზრება:

1. (ა) **2.** (დ) **3.** (გ) **4.** (გ) **5.** (გ) **6.** (დ) **7.** (ბ) **8.** (გ) **9.** (დ)

მათემატიკური ნაწილი

1. (გ) **2.** (ბ) **3.** (გ) **4.** (გ) **5.** (ა)

საქართველოს პროკურატურის სტაჟიორთა კონკურსის მეორე ეტაპის (ტესტირება) პრაგრამა სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში

სტაჟიორთა წერილობითი კონკურსის მეორე ეტაპის ტესტებმა უნდა მოიცვას სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ისეთი საკითხები, რომელთა ფლობა აუცილებელია პროკურორისა და გამომძიებლისათვის.

ტესტებში გათვალისწინებული საკითხები განკუთვნილი იქნება ტესტური შემოწმების გზით იმ პირის შესაფასებლად, რომელიც შეიძლება დაინიშნოს სტაჟიორის თანამდებობაზე პროკურატურაში. აღნიშნული საკითხები შეეხება საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის იმ ძირითად ინსტიტუტებს, რომლებთანაც უწყვეტლივ არის დაკავშირებული პროკურორისა და გამომძიებლის ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობა.

ტესტები ორიენტირებული იქნება სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში პროკურატურის სტაჟიორის ცოდნის იმ საავალდებულო მინიმუმზე, რომელიც საწყის ბაზისს წარმოადგენს მისი ჩამოყალიბებისათვის პროფესიონალ პროკურორად და გამომძიებლად.

ტესტებში შეტანილი იქნება მხოლოდ ისეთი საკითხები, რომლებიც პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლებით.

წერილობითი კონკურსის მეორე ეტაპის ტესტები შედგენილი იქნება საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიხედვით სამ ვარიანტად - A, B და C. თითოეული ტესტის ვარიანტში აისახება 100 ტესტი, რომლებშიც პროპორციულად თავს მოიყრის საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების საკითხები.

წერილობითი კონკურსის მეორე ეტაპზე (ტესტირება) მონაწილე პირმა დადებითი შეფასების მისაღებად სწორად უნდა უპასუხოს შეთავაზებული სისხლის სამართალისა და სისხლის სამართლის პროცესში შედგენილი ტესტების 75 %-ს მაინც.

ტესტირებისათვის განკუთვნილია 3 საათი.

აქსისი AXIS
ნარკომანიის წინააღმდეგ

აქცენტი

ეროვნული მუზეუმის ორი სახე

შედეგები და სურვილები ერთი წლის შემდეგ

სოფო კილასონია

უკვე რამდენიმე სამშაბათია, რაც აქცენტებს ვაკეთებთ. აქცენტს ჩვენს კულტურაში მიმდინარე პროცესების შესახებ. მათი არსებობა-არარსებობის გარშემო. აქცენტებს ვსვამთ და იმ მიზეზებს ვეძებთ, რის გამოც ჩვენს ხელოვნებას პორვინციალიზმის დაღი დაესვა, რის გამოც კრიტიკული მოსაზრება აღარ გვებადება, რის გამოც ინტელექტუალთა არჩევანი სნობური და არაკომპეტენტურია. ზოგადად მრავალ საკითხს შევეხეთ და პატარა თუ დიდი პასაჟით ფართო პრობლემებს გავეთამაშეთ. მეხუთე სამშაბათი დადგა და მომინდა, რომ ბევრად უფრო კონკრეტული ვყოფილიყავი. იმ კითხვებზე, რომლებიც დავსვი, თავადვე მომინდა პასუხის გაცემა და მივხვდი, რომ დროა კონკრეტული პასუხები კონკრეტულ საკითხებში მოვძებნო.

ხვალ 23 ნოემბერია. ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში თითოეულმა ინსტანციამ საკუთარ თავს კრიტიკულად გადახედა და დიდი რეფორმების ხანა დაიწყო. შეიცვალა მთავრობა, შეიცვალნენ ადამიანები და მათი პოლიტიკა ამა თუ იმ სფეროში. კულტურის სამინისტრომ ჯერ ძეგლთა დაცვის, შემდეგ კი სპორტის ინსტანციებიც შეიერთა და შესაძლოა სხვა სამინისტროებზე უფრო გვიან, მაგრამ მაინც ენერგიულად შეუდგა მუშაობას. ახალ შენობაში, ახალი კადრებით, ახლებურად გადანაწილებული კომპეტენციებით და, თავისთვად, ახალი პროექტებით. იმის თქმა, რომ ამ სახელმწიფოებრივმა ორგანიზმმა ამ ორი წლის მანძილზე ბევრად მეტი გააკეთა, ვიდრე მანამდე, მთელი ათწლეულის განმავლობაში, ვფიქრობ, უკვე ზედმეტია. ის, რომ სამინისტრომ კონკრეტული პოლიტიკა, პრიორიტეტები, ძირითადი გეზი და მეთოდები მკაფიოდ დასახა და სიცოცხლისუნარიანი, ანგარიშგასაწევი და რიგ საკითხებში ბევრად კომპეტენტური გახდა - თვალნათელია.

მოკლედ, მსუბუქი შესავალი უკან მოვიტოვეთ და საქმესთან მივედით. ამჯერად სწორედ ის პროექტები გვაინტერესებს, რომლებსაც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო უდგას სათავეში და რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება. პროექტები, რომელთა საშუალებითაც სამინისტრო ლოგიკურია, რომ ხარისხიან, არც ისე დროში განელილ და თვალსაჩინო შედეგებს ელის. გარკვეული პროცესები დაიწყო, კონკრეტული ღონისძიებები დაფინანსდა და, წესითა და რიგით, კონკრეტული შედეგები გზადაგზა მაინც უნდა იყოს. ბატონმა გოკა გაბაშვილმა და მისმა გუნდმა ჯერ კიდევ ორი წლის წინ აღნიშნეს, რომ პრიორიტეტი ძეგლთა დაცვა და სამუზეუმო საქმე იქნებოდა. მათი აქცენტები ყველამ მოიწონა და დღემდე ასე გრძელდება. სამინისტროს მიერ დასახული მიზნები სიტყვებად ნამდვილად არ დარჩენილა. რეალური გზების ძიება და რეალური მოქმედება ერთი წლის წინ აქტიურად დაიწყო. ვითვალისწინებ რა არჩეულ პრიორიტეტებს, დღევანდელი წერილის თემასაც ვირჩევთ. ძეგლთა დაცვის, ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაცია-რესტავრაციის მიმართულებით მინისტრის მოადგილის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის ხელმძღვანელობით არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, მისი განყოფილების მუშაობის შესახებ მრავალი დადებითი საკითხის აღნიშვნა შეიძლება და ალბათ აუცილებელიცაა. თუმცა ამ ვიწრო სფეროზე დღეს არ შეეჩერდებით, შესაძლოა სწორედ მისი წარმატებულობის გამო, ანდა იმ მიზეზით, რომ პროცესი გამჭვირვალეა, შედეგები - თვალნათელი.



პაბლო პიკასო

მუზეუმები ზოგადად და მისი მნიშვნელობის ქართული ვერსია, სამუზეუმო საქმე ჩვენთან და რეფორმა, რომელიც ერთი წლის წინ დაიწყო, - დაახლოებით ასე დააანონსებდნენ რომელიმე სატელევიზიო ტოქშოუში თემას, რომლის შესახებაც ახლა ვისაუბრობთ, თუმცა მე მაინც იდეალისტი ვარ, ძვირფას საეთერო დროს ასეთ არაფექტურ თემებს არ უთმობენ. პროექტს სახელად "საქართველოს ეროვნული მუზეუმი" ნოემბერში ერთი წელი შესრულდა. გასულ ნოემბერს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ დავით ლორთქიფანიძის პროექტი მოიწონა, შესაძლოა კორექტირება გაუკეთა, მერე ბიუჯეტი ჩამოაყალიბა, იდეა დაფინანსებულ მოქმედებად აქცია და რეფორმა ძალაში შევიდა.

ცივილიზაციის განვითარებასა და კულტურაში მუზეუმებს გამორჩეული ადგილი უჭირავთ. მუზეუმი დაწესებულებაა, სადაც ხდება წარსულის - კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნის შენახვა, ძეგლების დაცვა და შესწავლა, ასევე მათი პოპულარიზაცია ყველა იმ თანამედროვე მეთოდის გათვალისწინებით, რაც ამა თუ იმ საზოგადოებას აქვს. ხშირად ასეთი კულტურული დაწესებულებისადმი დამოკიდებულება ამა თუ იმ საზოგადოების განვითარებისა თუ პროგრესულობის განმსაზღვრელი კრიტერიუმიც არის. თუმცა ეს ყოველივე ვერ ერგება ჩვენი მუზეუმების მდგომარეობასა და ყოფას. გასაგები, მაგრამ ხშირად გაუგებარი მიზეზების გამოც იქ ხალხი არ დადის და მაინცდამაინც ვერც მართლაც არაჩვეულებრივი კოლექციები იწონებენ თავს.

მაშინ, როდესაც ევროპასა და განსაკუთრებით აშშ-ში სამუზეუმო საქმე ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი ღერძია როგორც საერთოდ კულტურის პოლიტიკაში, ისე ტურიზმის განვითარებაში, როცა თანამედროვე მუზეუმების მოწყობა, მათი ახლებური, სხვადასხვაგვარი მეთოდებით მართვა, ყველაფერი ის, რაც ადრე ხელოვნებისა და საერთოდ ერის კულტურის საუკეთესოდ წარმოჩენას ემსახურებოდა, ახლა თავად იქცა მაღალი რანგის ხელოვნებად, ჩვენი მუზეუმების კოლექციები დამთვალიერებელს დიდი მოთმინებით ელიან.

პოსტსაბჭოური ქვეყნების მუზეუმები და მათი მართვის მეთოდები (ისე როგორც მრავალი სხვა რამ) მნიშვნელოვნად ჩამორჩა ყველა დანარჩენს. ეს და სხვა მრავალი ფაქტორი განასხვავებს ჩვენს მუზეუმებს მათგან, სადაც ხალისით დადიან ახალგაზრდები, სადაც ერთდროულად ერთობიან, სწავლობენ, სადაც ეწყობა ცვლადი, პერიოდული გამოფენები, ხდება კოლექციების სხვადასხვა ხერხით პოპულარიზაცია (რაც საზოგადოების მოზიდვის საუკეთესო საშუალებაა), ხოლო მისულ საზოგადოებას არავინ უყვირის და დამამცირებლად არ მოუწოდებს წესრიგისაკენ. აქამდე ალბათ მართლაც დიდი გზაა გასავლელი, თუმცა ის ნამდვილად გასავლელია. ყველა ზემოჩამოთვლილი ასპექტი თუ საკითხი, ეროვნული მუზეუმის პროექტი, რომელსაც შარშან გავეცანი, იმაზე უკეთ იყო ჩამოყალიბებული, ვიდრე ეს მე მოვახერხე. დაახლოებით ასე იყო ჩამოთვლილი დასაძლევი პრობლემები: 1. მუზეუმის მართვა საბჭოური პერიოდის მოძველებული, არაეფექტური სისტემით. 2. მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოუწესრიგებლობა; 3. კოლექციების აღრიცხვა-დაცვის მოუგვარებლობა; 4. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სრული ინვენტარიზაციის არარსებობა; 5. საკანონმდებლო ბაზის მოუქნელობა; 6. სავალალო ვითარება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების თვალსაზრისით; 7. სამოქალაქო საზოგადოებასა და მუზეუმებს შორის ურთიერთკავშირის არარსებობა; 8. მუზეუმების დამთვალიერებლთა კატასტროფული შემცირება; 9. არ ხორციელდება ახალგაზრდა სპეციალისტების პოტენციალის გამოყენება და წახალისება; 10. არ ინერგება ახალი ტექნოლოგიები; 11. მუზეუმები ჩართულნი არ არიან თანამედროვე მსოფლიო კულტურულ პროცესებში. თუ ამ ჩამონათვლით ვიმსჯელებთ, ფაქტია, რომ პროექტი ჩვენი სამუზეუმო საქმის ყველა სუსტ წერტილს ეხება და მიზეზები და მათი შედეგები საფუძვლიანად არის გათვალისწინებული. პროექტის დადებითი მხარეების მიუხედავად, ოპოზიციური და კრიტიკული აზრი საფუძველშივე გაჩნდა. რეფორმა საერთო სამმართველო სტრუქტურის შექმნაზე აკეთებდა აქცენტს და შექმნა კიდეც. ანუ, საპილოტო პროექტის თანახმად, თბილისის ოთხი ძირითადი მუზეუმი: ს.ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი, შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი-ქარვასლა და ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმი სტრუქტურულად გაერთიანდნენ. შეიქმნა ერთიანი სამეთვალყურეო საბჭო, რომლის ქვედა საფეხურები ჯერ გენერალურ დირექტორს, მერე კი სამეცნიერო საბჭოს, ადმინისტრაციულ და ფინანსურ სამსახურს, კიდევ რეგიონულ, საგანმანათლებლო ცენტრებსა და კონსერვაციის ცენტრს მოიცავს. ამ იერარქიის ქვემოთ აღმოჩნდნენ თავად მუზეუმები, რომლებსაც თავიანთი დირექცია და კიდევ სამმართველო სისტემა აქვთ. იერარქიული კიბე გართულდა, ეს კი იმიტომ მოხდა, რომ მუზეუმების მართვა გაცილებით მობილური გამხდარიყო. სურვილი ლოგიკურია, მაგრამ ფაქტია, რომ ცალკე აღებულ თითოეულ ამ მუზეუმში მართვის მოდელი არ იცვლება, მთელი წლის განმავლობაში ოთხივე მუზეუმმა, ერთად აღებულმა, ხოლოდ ერი სერიოზული განაცხადი გააკეთა კოლხეთის საგანძურის ექსპონირებით, რეალური ნაბიჯები მუზეუმის პოპულარიზაციის, საზოგადოების მოზიდვისა და მუზეუმის თანამედროვე დანიშნულების მისაღწევად არ გადადგმულა. როგორც ბატონმა ნიკა ვაჩეიშვილმა მითხრა, სტრუქტურულმა ცვლილებებმა დიდი დრო წაიღო. ეროვნულ მუზეუმს მრავალი სირთულე დახვდა და ამაში ახალი და სადავო არაფერია. თუმცა მინისტრის მოადგილემ იმაზეც მიმანიშნა, რომ პრეტენზიული, თუნდაც მისაღები შენიშვნებით მასთან არ უნდა მივსულიყავი. "სამინისტრომ დაფინანსება გამოყო, ყველანაირი პირობა შექმნა იმისთვის, რომ პროექტმა რეალური შედეგები გამოიღოს. ვფიქრობ, 2006 წლისთვის ისინი უფრო თვალნათელი იქნება. ჩვენ შედეგებს ველით. თუ ასე არ მოხდება, საკითხები გადაისინჯება", მითხრა ბატონმა ნიკამ, რომელიც დამეთანხმა იმაში, რომ სტრუქტურული ცვლილებების პარალელურად და იურიდიული საკითხების მოგვარებასთან ერთად თვით მუზეუმების მუშაობაში მეტი უნდა იყოს მოტივაცია. თავად მე კი იმაში ვეთანხმები ჩემს რესპონდენტს, რომ უმჯობესი იქნებოდა ჩემი შეხვედრა ეროვნული მუზეუმის გენერალურ ანდა აღმასრულებელ დირექტორთან შემდგარიყო. თუმცა თავი უნდა ვიმართლო: თუ მიღებულ პრაქტიკას გავითვალისწინებ, შეხვედრა და კონსტრუქციული საუბარი მინისტრის მოადგილესთან ყოველთვის ბევრად უფრო იოლი და შედეგიანია, მაგრამ ამას თავი დავანებოთ და ყველაფერი პრესსამდივნოებს გადავაბაროთ, ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა კი უახლოესი მომავლისთვის გადავდოთ...

კურატორები, კონსერვატორები, განათლების კოორდინატორები, რომლებიც საგანმანათლებლო პროექტებზე მუშაობენ, გამოფენების დიზაინერები, გამომცემლები და მთავარი განვითარების განყოფილების თანამშრომლები, მენეჯერები. ასეთია ნებისმიერი დასავლური მუზეუმის შიდა სამზარეულო. ჩვენს მუზეუმებში კი ჯერ საქმე აქამდე არ მისულა. ნელი ტემპით მიმდინარეობს ინვენტარიზაცია, კოლექციების ოპტიმიზაცია და აღრიცხვა. ამ ყველაფერს კი ლამის ორი წელიწადი სჭირდება. არ მომხდარა საკადრო გადათამაშება, არსებული თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება სწორედ რომ სამუზეუმო მენეჯმენტის მიმართულებით და არა სამაცივრო დონის ასამაღლებლად. არ ტარდება საინტერესო აქციათ-გამოფენები, ექსპოზიციები, მუზეუმი თბილისში ისევ ის უხალისო დაწესებულებაა, რაც ერთი წლის წინ იყო. მდიდარი, მაგრამ არავისთვის საინტერესო კოლექციებით, ამბობენ, რომ ყველაფერი მას შემდეგ დაიწყება, რაც შენობები გარემონტდება, ახალ კარებს დააყენებენ, ექსპონატებს დაითვლიან. ანუ ყველაფერს ეტაპობრივად მიხედავენ, მაგრამ თუ შემოქმედებითი მხარე წლობით ჩამორჩება მძიმე სტრუქტურულ ეტაპებს, თუ მუზეუმი, მისი თანამშრომლებისა და მხოლოდ შემდეგ დამთვალიერებლის გონებაში არ შეიცვლის იერსახეს, ამ საქმეს ვერც რემონტით ვუშველით და ვერც სხვადასხვა სახელის მქონე ადმინისტრაციების შექმნით. ვერავითარი გაერთიანება და ვერავითარი საერთო საბჭო ვერ შეცვლის გარემოს, სადაც ევროპულმა თუ ამერიკულმა გამოცდილებებმა ვერ შეაღწია. თუ თავად ამ მუზეუმებში არ დაიწყო მუშაობა ახალი სტილით, ბევრად მობილურად, სხვადასხვა მიმართულებით. იქნება ეს შემოქმედებითი ნაწილი, რომელიც ერთიმეორის მიყოლებით შეცვლის პროექტებს, ცვლად გამოფენებს, მასშტაბურ სასწავლო ლექციებს, თუ იქნება ეს ფინანსების მოძიების, მუზეუმის პოპულარიზაციის, მისი რეკლამირების საქმე.

შარშან ეროვნული მუზეუმის ბიუჯეტი მილიონ შვიდასი ათასი ლარი გახლდათ. მომავალი წლიდან ორი მილიონი იქნება. თბილისის მუზეუმებს არასდროს ასეთი დაფინანსება არ ჰქონიათ. ასე რომ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალ წელს მაინც ჩვენი ეს ძალიან საინტერესო და თავისებური დაწესებულებები რეფორმას ისე განიცდიან, რომ ამას დამთვალიერებელიც შეამჩნევს.

■ ■ ■

1471 წელს პაპ სიქსტ IV-მ ლატერანის სასახლეში გახსნა ანტიკური ნივთების გამოფენა. მისი ძირითადი მიზანი იყო ხალხს რომის დიდება ენახა. 1503 წელს პაპმა იულიანე II-მ დაახლოებით იგივე გააკეთა ვატიკანის სასახლეში. მგონია, არც ერთს და არც მეორეს არ უფიქრია, რომ საფუძველს უყრიდნენ საქმეს, რომლის გარეშეც ჩვენი თანამედროვე კულტურა წარმოუდგენელია. "განათლებულ ევროპაში" მუზეუმი მხოლოდ ისტორიას კი არ ინახავს, არამედ ახალ ხელოვნებასაც ქმნის და მის პროპაგანდას ეწევა. სწორედ ეს უკანასკნელი უნდა გავიაზროთ პირველ რიგში და საქმესა და მუშაობას აქტიურად და დროულად შევუდგეთ.

დედა ქეთევან ქართველიშვილი, მეუღლე თეო მამაცაშვილი, შვილები ქეთა და ანო, და ბაია, ცოლისძმა გიორგი, სიმამრი გურამ მამაცაშვილი, სიდედრი ნანა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი (გოშკა) გოგოხია

მისამართი: ატენის ქ. 25, I სად, 4 სართ.
პანაშვიდი: 22,23 ნოემბერს (17.00)
გამოსვენება: 24 ნოემბერს (15.00)

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის, ორგ-ტექნიკისა და კომპიუტერული აქსესუარების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

ლოტი NI პერსონალური კომპიუტერები 37 ცალი:

- 35 ცალი კომპიუტერი: 2600 AMD 64bit, DDR DIMM 512 MB, HDD 80GB 7200rpm, FDD 3.5", CD-RW, Mouse, Keyboard, Speakers, Monitor 17", UPS 600W.
- 1 ცალი კომპიუტერი: Socket 939, AMD Soc-939 Athlon 64 - 3200/512K, DDR SDRAM 512 Mb PC3200 DUAL, HDD 160.0 Gb ID, DVD-RW, FDD, SVGA 256Mb <PCI-E> DDR GeForce 6600GT, Keyboard, Speakers, Monitor 17", UPS 600W.
- 1 ცალი პორტატული კომპიუტერი: Fujitsu-Semens Amilo 1650 -ის ეკვივალენტი.

ლოტი NII ორგ-ტექნიკა:

- 20 ცალი პრინტერი: HP 1020 -ის ეკვივალენტი.
- 1 ცალი ასლგადამღები აპარატი: Canon IR 2000 (tabf) -ის ეკვივალენტი
- 1 ცალი პროექტორი: 1024x768, DVI, D-Sub, RCA, S-Video, Component, USB.
- 3 ცალი სკანერი: A4 Color, plain, 1200*2400dpi, USB2.0.
- 5 ცალი ფაქსის აპარატი: TERMO , Autoanswerer

ლოტი NIII კომპიუტერული აქსესუარები:

- 4 ცალი 512 DDR RAM;
- 1000 ცალი ფლოპი დისკი;
- 500 ცალი CD-R დისკი;

2.ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყონ ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2005 წლის 25 დეკემბრისა.

3.დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 6 დეკემბრის 12 საათიდან 7 დეკემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, III სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

- ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);
- ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

4.2.ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის(ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

4.3.როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 8 დეკემბრის 12 საათიდან 9 დეკემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, III სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7. ტენდერში შესაძლებელია გამოვლენიდეს რამდენიმე გამარჯვებული.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი ბერიძე-საკონტაქტო ტელეფონი 92-01-82, 99-56-60 მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

БАЛТИКА
baltika

ბალტიკა ახალ ბაზრებს ითვისებს

"ბალტიკა" ირლანდიაში დააგემოვნეს

წელს კომპანია "ბალტიკამ" სანკ-პეტერბურგიდან ირლანდიაში პროდუქციის პირდაპირი მიწოდება განახორციელა.

ირლანდიულ კომპანია EUROBEER LTD-ს ამ ქვეყნის ბაზარზე "ბალტიკას" ლუდი 2003 წლის აგვისტოდან შეაქვს. 2 ნელიწადში გაყიდვების მოცულობამ საშუალო წლიური 13 ათასი ლიტრი შეადგინა.

ირლანდიაში "ბალტიკას" პროდუქცია როგორც სუპერმარკეტებსა და მაღაზიებში, ასევე კაფეებსა თუ რესტორნებში იყიდება. რუსული ლუდი ირლანდიაში წარმოდგენილია პრემიუმის სეგმენტში და ბოთლის 2,5-დან 5,5 ევრომდე ღირს.

კომპანიაში მიაჩნიათ, რომ "ბალტიკის" ექსპორტი ირლანდიის ბაზარზე, ერთ სულზე სადაც ლუდის საშუალო წლიური მოხმარება 140 ლიტრს აღწევს, მათი საექსპორტო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. ცნობისთვის, შარშან ირლანდიაში ლუდის ბაზრის მოცულობამ 530 მლნ ლიტრი შეადგინა.

"ბალტიკას" ჩინური წარმატება

ჩინეთში ლუდი "ბალტიკა" პირველი რუსული პროდუქტია, რომლის სარეკლამო კამპანიამ წამყვანი ტელეარხები მოიცვა.

"ბალტიკას" ექსპორტი ჩინეთის ბაზარზე 2004 წლის ოქტომბერში დაიწყო. თავიდან ის პროვინციების - გირინის, ლიაონინის, ხეილონძიანისა და შანდუნის მცხოვრებლებმა გასინჯეს. წელს კი სხვა პროვინციებსა და დედაქალაქ პეკინში გამოჩნდა. ადგილობრივმა ექსპერტებმა "ბალტიკას" უმაღლესი შეფასება მისცეს.

ჩინეთის ბაზარზე კომპანია "ბალტიკას" პროდუქცია სუპერპრემიუმის სეგმენტში იყიდება. "ბალტიკა N3 კლასიკური" 15-დან 25 იუანამდე ($1,8-3) ღირს. წლის ბოლომდე კომპანია ჩინეთში 500 ათასი ლიტრი ლუდის მიწოდებას გეგმავს.

დღესდღეობით, კომპანია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში აქტიურ საექსპორტო პოლიტიკას მიმართავს. "ბალტიკას" ლუდი რეგულარულად მიეწოდება იაპონიას, ავსტრალიას, ჩინეთს, ახალ ზელანდიასა და ტაივანს.

"ბალტიკა" ავსტრალიაში მკვიდრდება

კომპანია "ბალტიკამ" სექტემბერში, ავსტრალიაში გამართულ ალკოჰოლური სასმელების უმსხვილეს საერთაშორისო გამოფენაზე პოპულარულ ბრენდის - "ბალტიკას" სრული ასორტიმენტი წარმოადგინა.

სიდნეიში მიმდინარე გამოფენაში წელს სხვადასხვა ქვეყნის 500-ზე მეტი კომპანია მონაწილეობდა. "ბალტიკა N3 კლასიკური", "ბალტიკა N4 ორიგინალური", "ბალტიკა N7 საექსპორტო" და ბალტიკა ხორბლის" - ყველა ამ ლუდმა გამოფენის სტუმართა განსაკუთრებული ინტერესი და აღიარება დაიმსახურა.

ავსტრალიაში კომპანია "ბალტიკას" პროდუქცია შარშან, ოქტომბრიდან შეაქვს. 2005 წლის პირველ ნახევარში ამ ბაზარზე მან 20 ათასი ლიტრი ლუდი გაყიდა და დღესდღეობით, ერთადერთი რუსული ლუდსახარშია, რომელიც მწვანე კონტინენტზე პროდუქციის რეგულარულ გადაზიდვებს ახორციელებს.

"ბალტიკა" უკვე კანადაშია

სექტემბერის ბოლოს, კანადის დედაქალაქ ოტავაში გამართულ ღონისძიებაზე - "რუსული საღამო დოღზე" ლუდი "ბალტიკას" პრეზენტაცია გაიმართა.

კანადაში რუსეთის სავაჭრო წარმომადგენლობისა და იპოდრომის მიერ მოწვეულმა სტუმრებმა - ქვეყნის საქმიანი და ოფიციალური წრეების წარმომადგენლებმა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი რუსული ლუდი "ბალტიკა N3 კლასიკური" დააგემოვნეს და კომპანიის საქმიანობას გაეცნენ.

ლუდი "ბალტიკა" კანადაში პირველად 2003 წელს გამოჩნდა. ამჟამად გაყიდვები მიმდინარეობს ეკონომიკურად ყველაზე აქტიურ პროვინცია ონტარიოში, სადაც ყოველთვიურად არანაკლებ 14 ათასი ლიტრი ლუდი "ბალტიკა N3" გადაიზიდება. მისი შეძენა სახელმწიფო მაღაზიების ქსელსა და რუსულ რესტორნებში შეიძლება.

"ბალტიკა" - გერმანიაში

კომპანია "ბალტიკა" დიდი პოპულარულობით სარგებლობს გერმანიაში, სადაც წელს, 6 თვეში 300 ათასზე მეტი ლიტრი ლუდი გაყიდა.

"ბალტიკა" გერმანიის ბაზარზე 2000 წელს გამოჩნდა. მალე ყოველწლიურმა გაყიდვებმა 1,2 მლნ ლიტრი შეადგინა, რასაც 2002 წელს, ჰამბურგში შვილობილი კომპანიის - Baltika Deutschland GmbH გახსნამაც შეუწყო ხელი.

ამჟამად გერმანიაში კომპანია წარმოდგენილია "ბალტიკას" სრული ასორტიმენტით პრემიუმისა და სუპერპრემიუმის სეგმენტებში. პოპულარული ლუდი "ბალტიკა N3 კლასიკური" იყიდება როგორც ბარებსა და რესტორნებში, ასევე სავაჭრო დაწესებულებებში. მაგალითისათვის, "ბალტიკა N3 კლასიკური", 0,5 ლიტრიან ბოთლებში, საშუალოდ 0,89 ევრო (პლუს გადასახადი) ღირს.

2005 წლის ივლისიდან გერმანიის საუკეთესო რესტორნებში "ბალტიკა N7"-ის დაგემოვნება 3 ევროდ შეიძლება.

GPI HOLDING
ნარკომანიის წინააღმდეგ